პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 300 (9768) | სამშაბათი, 22 დეკემბერი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლის საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისათვის სხვადასხვა ქვეყნის დემოკრატიული ძალების წარმომადგენლებს მიენიჭათ „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიები.

მხურვალე სალამი მშვიდობის საერთაშორისო სტალინური პრემიების ლაურეატებს!

საბჭოთა მთავრობის განცხადება

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ეიზენჰაუერის 1953 წლის 8 დეკემბრის გამოსვლის გამო

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა 8 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაში წარმოთქვა სიტყვა ატომური შეიარაღების საკითხზე.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი ჩ. ბოლენი 7 დეკემბერს ეწვია სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ვ. მ. მოლოტოვს და, დაიმოწმა რა თავისი მთავრობის დავალება, სთხოვა საბჭოთა მთავრობის ყურადღება მიექცია იმ წინადადებებისათვის, რომლებიც მოყვანილი იქნებოდა პრეზიდენტის სიტყვაში. 9 დეკემბერს ბ-მა ჩ. ბოლენმა ვ. მ. მოლოტოვს გამოუგზავნა ამონაწერები ეიზენჰაუერის სიტყვიდან.

21 დეკემბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა ბ-ნ ჩ. ბოლენს გადასცა ტექსტი პრეზიდენტ ეიზენჰაუერის გამოსვლის გამო საბჭოთა მთავრობის განცხადებისა, რომელიც ქვემოთ ქვეყნდება.

ამავე დროს ქვეყნდება ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის ბ-ნ ჩ. ბოლენის წერილი ვ. მ. მოლოტოვისადმი და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სხდომაზე პრეზიდენტ ეიზენჰაუერის სიტყვის ამონაწერები, რომლებიც გამოგზავნა ბ-ნმა ბოლენმა.

საბჭოთა მთავრობის განცხადებაში ნათქვამია:

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაში 8 დეკემბერს წარმოთქმულ სიტყვაში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ეიზენჰაუერი შეეხო გამალებული ატომური შეიარაღების პრობლემას.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა სრული საფუძვლით ხაზგასმით აღნიშნა საშიშროება იმ მდგომარეობისა, რომელიც მსოფლიოს ხალხებისათვის იქმნება, თუ მთავრობებმა არ მიიღეს ღონისძიებანი გამალებული ატომური შეიარაღების წინააღმდეგ. ეს მით უმეტეს სწორია ახლა, როცა, ატომურ იარაღთან ერთად, უკვე შექმნილია წყალბადის იარაღი, რომელიც თავისი სიმძლავრით ბევრად აღემატება ატომურს. არ შეიძლება დავივიწყოთ ისეთ ახალ სახეობათა შეიარაღებაც, როგორიც არის რაკეტული იარაღი, რომლის ათასობით კილომეტრ მანძილზე უთვითმფრინავებოდ გამოყენების შესაძლებლობას იძლევა თანამედროვე ტექნიკა, აგრეთვე ატომის მუხტიანი ტორპედები და სხვ.

იმის აღმოჩენა, რომ არის ატომის ენერგიის გამოყენების პრაქტიკული შესაძლებლობა, თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის უდიდესი მიღწევაა. აღმოჩენილია როგორც იმის შესაძლებლობა, რომ ატომის ენერგია გამოყენებულ იქნას სამხედრო მიზნებით, ისე იმის შესაძლებლობა, რომ იგი გამოყენებულ იქნას მშვიდობიანი მიზნებით. ბოლო დრომდე ცდილობდნენ ატომის ენერგია გამოეყენებინათ უმთავრესად შეიარაღების წარმოებისათვის, კაცობრიობა კი დაინტერესებულია იმით, რომ ატომის ენერგია მოხმარდეს მხოლოდ მშვიდობიან საჭიროებებს და რომ არ იქნას დაშვებული ატომის ენერგიის გამოყენება ხალხთა ღირსებისა და სინდისის საწინააღმდეგო ისეთი მიზნებით, როგორიც არის ადამიანთა მასობრივი მოსპობა და ქალაქების ბარბაროსული დანგრევა.

თითქმის 30 წლის წინათ 49 სახელმწიფოს მთავრობები შეთანხმდნენ და ხელი მოაწერეს ჟენევის 1925 წლის ოქმს ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღის აკრძალვის შესახებ, აღიარეს რა დანაშაულად ადამიანთა მასობრივი მოსპობის ასეთი იარაღის ხმარება. მთავრობათა ამ შეთანხმებამ, რომელსაც თავის დროზე საბჭოთა კავშირმაც მოაწერა ხელი, დადებითი შედეგები მოიტანა.

ყველამ იცის, რომ პირველი მსოფლიო ომის დროს ფართოდ იყენებდნენ ადამიანთა მასობრივი მოსპობის ისეთ იარაღს, როგორიც არის მახრჩობელა და შხამიანი გაზები, აგრეთვე სხვა სახეობათა ქიმიური იარაღი, რომლის გამოყენება გადაჭრით დაგმეს ხალხებმა. უკვე მაშინ შეიქმნა იმ მავნე ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების საფრთხე, რომლის მიზანი იყო ქალაქების მშვიდობიან მცხოვრებთა დასენიანება უმძიმესი სნეულებებით, რასაც ვერ ურიგდებოდა ადამიანთა უდიდესი უმრავლესობის სინდისი. სწორედ ამან გამოიწვია იმის საჭიროება, რომ დადებულიყო საერთაშორისო შეთანხმება ჟენევის ხსენებული ოქმის სახით, რომლითაც დაგმობილ და აკრძალულ იქნა ომში ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენება.

რომ არ ყოფილიყო ეს ოქმი, რომელსაც ხელი მოაწერა 49 სახელმწიფომ, თუმცა ჯერ კიდევ ყველა სახელმწიფოს არ დაუმტკიცებია იგი, სავსებით ცხადია, არ იქნებოდა იმის არავითარი შემკავებელი ფაქტორი, რომ ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღი გამოეყენებინათ მეორე მსოფლიო ომშიც. ის ფაქტი, რომ მეორე მსოფლიო ომში ვერც ერთმა მთავრობამ ვერ გაბედა ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენება, ცხადყოფს, რომ სახელმწიფოთა ხსენებულ შეთანხმებას, რომელიც მიმართულია ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღის წინააღმდეგ, დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა. ამასთან, ცხადია, არ შეიძლება ჯეროვნად არ შევაფასოთ ის გარემოებაც, რომ ამ საერთაშორისო შეთანხმებაზე დაყრდნობით ანტიჰიტლერული კოალიციის სახელმწიფოებმა მტკიცედ განაცხადეს: მოწინააღმდეგის ცდებს — გამოიყენოს ომში ქიმიური იარაღი — გამანადგურებელ წინააღმდეგობას გავუწევთო.

მოყვანილი მოსაზრებანი სავსებით ეხება აგრეთვე ატომურ და წყალბადის იარაღს. ცნობილია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ამ იარაღს ჩვეულებრივი სახეობის შეიარაღებად კი არ თვლის, არამედ იგი განსაკუთრებული სახეობის იარაღად — მასობრივი მოსპობის იარაღად მიაჩნია.

გასაგებია ის გარემოება, რომ პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა, რომელიც ცნობილია როგორც ერთ-ერთი გამოჩენილი სამხედრო ხელმძღვანელი უკანასკნელ მსოფლიო ომში, ხაზგასმით აღნიშნა ატომური იარაღის დამანგრეველი ძალა. საჭიროა აგრეთვე მხედველობაში ვიქონიოთ, რომ დროთა მსვლელობაში ამ პრობლემის მნიშვნელობა კიდევ უფრო ძლიერდება.

სავსებით გაუგებარი იქნებოდა, რომ იმ სახელმწიფოებს, რომლებსაც აქვთ ატომური ან წყალბადის იარაღი, ჯეროვნად არ შეეფასებინათ ატომური და წყალბადის იარაღის, ისევე როგორც მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის, აკრძალვის საკითხი, ან რაღაც გაურკვეველი მომავლისათვის გადაედოთ ამ საკითხზე საერთაშორისო შეთანხმების განხორციელება. ამ დიდმნიშვნელოვანი და გადაუდებელი პრობლემისადმი ასეთი დამოკიდებულება სრულიად გაუმართლებელი იქნებოდა.

საბჭოთა კავშირი თანმიმდევრულად იბრძვის ატომური იარაღის აკრძალვისათვის და, ამასთანავე, ყველა სხვა სახეობის შეიარაღების მნიშვნელოვანი შემცირებისათვის. ეს შეესაბამება საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკას, რომლის მიზანია ახალი ომის თავიდან აცილება და ხალხთა შორის მშვიდობისა და თანამშრომლობის განმტკიცება.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა 8 დეკემბრის სიტყვაში ატომური იარაღის შესახებ აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და ურთიერთისადმი მშვიდობიანი ნდობის ატმოსფეროს შექმნის პრობლემას. ეს შეესაბამება აგრეთვე საბჭოთა მთავრობის შეხედულებებს, რომელიც განუხრელად ისწრაფვის ხელი შეუწყოს საერთაშორისო ურთიერთობების დაძაბულობის შენელებას და უზრუნველყოს მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცება.

ამ გზაზე წარმატებათა მისაღწევად საჭიროა ურთიერთ მეცადინეობა იმ მიზეზთა აღმოსაფხვრელად, რომლებიც ხელს უშლიან საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელებას.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, ჩვენ ყოველ ღონეს ვხმარობთ იმისათვის, რომ საბჭოთა ადამიანების შრომა და ჩვენი მატერიალური რესურსები გამოვიყენოთ ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აღმავლობის ახალი გიგანტური ამოცანების გადასაწყვეტად და რომ კიდევ უფრო გავაფართოოთ საერთაშორისო ეკონომიური თანამშრომლობა თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთსარგებლობის საფუძვლებზე. საბჭოთა კავშირი ისეთ სახელმწიფოთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც ესწრაფვიან ჯანსაღი საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებას და გადაჭრით გმობენ პოლიტიკას, რომელმაც სახელი გაიტეხა ამ დარგში — ეკონომიურად დამოკიდებული ქვეყნების დისკრიმინაციისა და მათზე ძალადური ზეგავლენის პოლიტიკას. საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის ინტერესები არ მოითხოვენ სამხედრო ბლოკებისა და კავშირების შექმნას ამა თუ იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ, არ მოითხოვენ აგრეთვე სამხედრო ბაზების შექმნას სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებზე. საბჭოთა კავშირის სახელმწიფოთა შორის ნორმალურ ურთიერთობასთან შეუთავსებლად მიაჩნია ისეთი პოლიტიკა, რომელიც მოასწავებს სხვა ქვეყნებში დივერსიულ-ძირგამომთხრელი აქტებისათვის მხარდაჭერას ან დივერსანტი აგენტების დაფინანსებას. სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის გაუმჯობესებისადმი მისწრაფებას უნდა მოჰყვეს ურთიერთ აღიარება ამ პრინციპებისა, რომლებიც არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდნენ რომელიმე სახელმწიფოს ეროვნულ ინტერესებს, და, ამავე დროს სავსებით შეესაბამებიან მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების ინტერესებს.

სწორედ ამიტომ საბჭოთა კავშირს ასე დიდმნიშვნელოვნად მიაჩნია არა მარტო მომავალი თათბირი ბერლინში, არამედ აგრეთვე ხუთი სახელმწიფოს თათბირი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მონაწილეობით, რამდენადაც ახლანდელ პირობებში მხოლოდ ყველა დიდი სახელმწიფოს გაერთიანებულ ღონისძიებებს, სხვა სახელმწიფოთა ღონისძიებებთან ერთად, შეუძლია უზრუნველყოს მთელი საერთაშორისო ვითარების დაძაბულობის შენელება და ცალკეული მომწიფებული საერთაშორისო პრობლემების შესაბამისი გადაწყვეტა. ეს შეესაბამება აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, რომლის ძალითაც მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების შენარჩუნებისათვის განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება ხუთ სახელმწიფოს: ამერიკის შეერთებულ შტატებს, ინგლისს, საფრანგეთს, სსრ კავშირსა და ჩინეთს. ამასთან, სავსებით ცხადია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში დიდ ჩინელ ხალხს ამჟამად უნდა წარმოადგენდეს სწორედ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა.

თუ გვსურს ხელი შევუწყოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლისა და ავტორიტეტის ამაღლებას საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების საქმეში, უნდა გამოვიჩინოთ განსაკუთრებული სიმტკიცე, რათა დავაახლოოთ ხუთი დიდი სახელმწიფოს პოზიციები გამალებული ატომური შეიარაღების და ყველა სხვა შეიარაღების შეწყვეტის საკითხში. ყოველ ნაბიჯს ამ სახელმწიფოთა შორის შეთანხმების მისაღწევად, როგორც ატომური და წყალბადის იარაღის გამოყენების საფრთხის თავიდან აცილების, ისე საერთოდ გამალებული შეიარაღების შეწყვეტის დარგში, უეჭველია ერთსულოვნად დაუჭერდა მხარს ყველა გაერთიანებული ერი. უწინარეს ყოვლისა, ამ გზაზეა საერთაშორისო ვითარების დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობის განმტკიცების დიდმნიშვნელოვანი შესაძლებლობანი.

ჩამოაყალიბა რა თავისი აზრი ატომური იარაღის მნიშვნელობის შესახებ, პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა აზრი გამოთქვა, რომ სასურველია მოეწყოს სათანადო კონფიდენციალური ან დიპლომატიური მოლაპარაკება დაინტერესებულ სახელმწიფოებს შორის.

ამასთან პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა წამოაყენა წინადადება, რომ სათანადო სახელმწიფოებმა ახლავე დაიწყონ და შემდგომაც განაგრძონ, მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოსაყენებლად, „ნორმალური ურანისა და ხლეჩადი მასალების თავიანთი მარაგიდან რაღაც ნაწილის ერთობლივი გადაცემა ატომის ენერგიის საერთაშორისო ორგანოსათვის“, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მფარველობაში იქნებოდა. ამ წინადადებაში, გარდა ამისა, აღნიშნულია, რომ ატომის ენერგიის საერთაშორისო ორგანოსათვის „შეიძლებოდა დაგვეკისრებინა პასუხისმგებლობა მის განკარგულებაში გამოყოფილი ხლეჩადი და სხვა მასალების შეგროვებისათვის, დაზოგვისა და დაცვისათვის“.

საჭიროა განვიხილოთ, რას ნიშნავს ასეთი წინადადება.

ჯერ-ერთი, ეს წინადადება ნიშნავს, რომ მოითხოვენ ატომური მასალების არსებული და ახლად შექმნილი მარაგიდან მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოიყოს მხოლოდ „რაღაც“ მცირე ნაწილი. აქედან გამოდის, რომ ატომური მასალების მთავარი მასა კვლავ მოხმარდება ახალი ატომური და წყალბადის ბომბების წარმოებას და რომ რჩება სრული შესაძლებლობა შემდგომ აგროვდეს ატომური იარაღი და შეიქმნას კიდევ უფრო მეტი დამანგრეველი ძალის ახალი ტიპების ეს იარაღი. მაშასადამე, ეს წინადადება, მისი ახლანდელი სახით, არაფრით არ ბოჭავს სახელმწიფოებს, რომლებსაც ატომური და წყალბადის იარაღის წარმოების შესაძლებლობა აქვთ.

მეორე, პრეზიდენტ ეიზენჰაუერის წინადადება სრულიადაც არ ზღუდავს ატომური იარაღის გამოყენების თვით შესაძლებლობას. ამ წინადადების მიღება არაფრით არ ზღუდავს აგრესორს, რომ ატომური იარაღი გამოიყენოს ყოველგვარი მიზნით და ყოველ დროს. მაშასადამე, ეს წინადადება ოდნავაც არ ასუსტებს ატომური თავდასხმის საფრთხეს.

ამრიგად, უნდა გავაკეთოთ დასკვნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების წინადადება, მისი ახლანდელი სახით, არ აჩერებს ატომური იარაღის მზარდ წარმოებას და არ ზღუდავს ამ იარაღის გამოყენების შესაძლებლობას. ამ წინადადების ნამდვილი მნიშვნელობის შეფასებისას არ შეიძლება ეს არ გავითვალისწინოთ.

ამ წინადადებას სხვა მნიშვნელობა ექნებოდა, იგი რომ ემყარებოდეს იმის აღიარებას, რომ საჭიროა აიკრძალოს ატომური იარაღი, რომელიც აგრესიის იარაღია. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის გამოსვლაში ნახსენებიც არ არის, რომ საჭიროა ატომური იარაღის აკრძალვა. ატომური იარაღის აკრძალვის საკითხს გვერდი აქვს ავლილი ამ გამოსვლაში, მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტი ეიზენჰაუერი ხაზგასმით აღნიშნავს ატომური იარაღის განსაკუთრებულ საშიშროებას, რომელიც მთელი მსოფლიოს ხალხებისათვის არსებობს ატომის ახლანდელ ეპოქაში.

იბადება კითხვა, შეიძლება თუ არა ლაპარაკობდე საერთაშორისო დაძაბულობის შენელების აუცილებლობაზე, და, ამასთან ერთად, გვერდს უვლიდე ატომური იარაღის აკრძალვის პრობლემას? ამ კითხვაზე არ შეიძლება ორი სხვადასხვა პასუხის გაცემა. ყველა, ვინც კი ესწრაფვის საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის შენელებას და მშვიდობის განმტკიცებას, არ შეიძლება არ მოითხოვდეს, რომ მთავრობები ცდილობდნენ მიაღწიონ ამ პრობლემის რაც შეიძლება მალე დადებითად გადაჭრას.

კარგად ცნობილია, რომ შეშფოთება, რომელსაც ხალხები განიცდიან, დაკავშირებულია უმთავრესად იმასთან, რომ შესაძლებელია წარმოიშვას ატომური ომი, რომლის საფრთხე არ შეიძლება თავიდან ავიცილოთ, თუ არ აიკრძალა ატომური იარაღი. ეს აღიარა თავისი არსებობის დასაწყისიდანვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, რომელმაც მხარი დაუჭირა ატომური იარაღის აკრძალვის აუცილებლობას.

ვერავინ ვერ უარყოფს იმ სიძნელეებს, რომლებიც ამ ამოცანის გადაჭრის გზაზე გვხვდება. მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ და უწინარეს ყოვლისა იმ სახელმწიფოებმა, რომლებსაც ეს განსაკუთრებით ეხება, უკვე მიიღეს საკმაო ღონისძიებანი, რათა მიეღწიათ საერთაშორისო შეთანხმებისათვის ატომური იარაღის აკრძალვისა და ამ აკრძალვის განხორციელებისადმი ქმედითი საერთაშორისო კონტროლის დაწესების საკითხზე. ამიტომ შეუძლებელი იქნებოდა აგვეხსნა მშვიდობისმოყვარე ხალხებისათვის ის მდგომარეობა, რომლის დროსაც ამ საკითხის გადაწყვეტა კვლავაც გადაიდებოდა ან თუ ამ საკითხს გვერდს ავუვლიდით, მიუხედავად მთელი მისი ახლანდელი სიმწვავისა.

აი ამიტომ საბჭოთა მთავრობას, ისევე როგორც წინათ, მიაჩნია, რომ უმნიშვნელოვანესი და ამასთან გადაუდებელი პრობლემაა ატომური და წყალბადის იარაღის, ისევე როგორც მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის, უთუო აკრძალვა და ამავე დროს ამ აკრძალვისადმი მტკიცე საერთაშორისო კონტროლის დაწესება. ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი დაინტერესებულია ამ ამოცანის რაც შეიძლება მალე გადაწყვეტით.

თუ მთელი საქმე იმით განისაზღვრება, რომ ატომური მასალების რაღაც მცირე ნაწილი მოხმარდება მშვიდობიან მიზნებს, ხოლო ამ მასალების ძირითადი მასა, რომელთა რაოდენობა განუწყვეტლივ იზრდება, მოხმარდება სულ უფრო და უფრო დამანგრეველი ატომური იარაღის წარმოებას, მაშინ ატომური ომის საფრთხე სრულიადაც არ შესუსტდება. ამან შეიძლება შეასუსტოს ხალხების სიფხიზლე ატომური იარაღის პრობლემის მიმართ, მაგრამ ხელს ვერ შეუწყობს ატომური ომის რეალური საფრთხის შემცირებას.

თუ სახელმწიფოთა შეთანხმება იმით ამოიწურება, რომ მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოიყოფა ატომური მასალების მხოლოდ რაღაც მცირე ნაწილი, ატომური იარაღის წარმოება კი კვლავაც არაფრით არ იქნება შეზღუდული, ასეთი საერთაშორისო შეთანხმებით ფაქტიურად პირდაპირი სანქცია მიეცემოდა ატომური იარაღის წარმოებას. ატომური იარაღის წარმოების საერთაშორისო სანქციონირება ხელსაყრელი იქნებოდა აგრესიული ძალებისათვის. ასეთი მდგომარეობა არათუ არ შეამსუბუქებდა ატომური იარაღის აკრძალვაზე შეთანხმების მიღწევას, არამედ, პირიქით, ახალი დაბრკოლება იქნებოდა აღნიშნული შეთანხმების მიღწევის გზაზე.

რამდენადაც ჩვენ ვესწრაფვით მშვიდობის განმტკიცებას, ჩვენს ამოცანას არ შეიძლება შეადგენდეს არც სიფხიზლის შესუსტება ატომური ომის საფრთხისადმი, არც ატომური იარაღის წარმოების საერთაშორისო სანქციონირება. სწორედ ამიტომ საჭიროა ვაღიაროთ, რომ ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს ამოცანა იმით როდი ამოიწურება, რომ მშვიდობის მიზნებისათვის გამოჰყონ ატომური მასალების რაღაც მცირე ნაწილი. საჭიროა, რომ არა რაღაც ნაწილი, არამედ ატომური მასალების მთელი მასა სავსებით მოხმარდეს მშვიდობიან მიზნებს, რაც მოგვცემდა მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტის აღმავლობისა და იმის უმაგალითო შესაძლებლობას, რომ უძვირფასესი ატომური აღმოჩენები გამოვიყენოთ მედიცინაში, სრულვყოთ ტექნიკა მისი გამოყენების მრავალ დარგში, უზრუნველვყოთ მეცნიერების შემდგომი და უფრო დიადი პროგრესი.

უნდა გავითვალისწინოთ აგრეთვე, რომ ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვა და მთელი ატომური მასალების ხალხთა მშვიდობიანი საჭიროებისათვის გამოყენება, ამასთან სათანადო ზრუნვა ეკონომიურად უფრო სუსტი რაიონების საჭიროებისათვის, ამავე დროს გააადვილებდა ჩვეულებრივი შეიარაღების გადაჭრით შემცირების საკითხზე შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობასაც. ამას თავის მხრივ მოჰყვებოდა იმ საგადასახადო ტვირთის უდიდესი შემსუბუქება, რომელიც ხალხებს აწევთ იმასთან დაკავშირებით, რომ ბევრ სახელმწიფოში არსებობენ გაბერილი არმიები, სამხედრო ავიაცია, სამხედრო-საზღვაო ფლოტი, ესე იგი იმასთან დაკავშირებით, რომ ამჟამადაც გრძელდება გამალებული შეიარაღება.

ყოველივე ეს მოითხოვს ვაღიაროთ, რომ საჭიროა აიკრძალოს ატომური იარაღი, ამასთანავე დაწესდეს საერთაშორისო კონტროლი ამ აკრძალვისადმი და უთუოდ უარყოფილ იქნას ამ იარაღის გამოყენება. ამიტომ საბჭოთა მთავრობა კვლავაც მტკიცედ მოითხოვს, რომ დაუყოვნებლივ დაიდოს შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმება ამ საკითხზე.

რაც შეეხება პრეზიდენტ ეიზენჰაუერის განცხადებას კონფიდენციალურ ან დიპლომატიურ მოლაპარაკებაზე მის მიერ წარმოდგენილი წინადადების შესახებ, საბჭოთა მთავრობა, განუხრელად იცავს რა თავის მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას, მზად არის მიიღოს მონაწილეობა ასეთ მოლაპარაკებაში.

საბჭოთა მთავრობა მუდამ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა უშუალო მოლაპარაკებას სახელმწიფოთა შორის იმ მიზნით, რომ მიაღწიონ სადავო საკითხებზე ურთიერთ მისაღებ შეთანხმებებს საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის.

ამასთან საბჭოთა მთავრობა მოელის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა, როგორც ეს მის განცხადებას შეესაბამება, საჭირო განმარტებას მოგვცემს, რამდენადაც ამერიკის შეერთებული შტატების წინადადების არსებითი ნაწილები შეიცავს ბუნდოვან დებულებებს და არ ითვალისწინებს იმას, რომ საჭიროა აიკრძალოს ატომური იარაღი, ისევე როგორც არ ითვალისწინებს ამ იარაღის გამოყენებაზე უარის თქმას.

საბჭოთა კავშირი მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ კაცობრიობა უნდა ვიხსნათ და კიდევაც შეიძლება ვიხსნათ ატომური ომის საშინელებისაგან. ამ ამოცანის გადაწყვეტაში განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ იმ სახელმწიფოებს, რომლებსაც უკვე აქვთ ატომური იარაღის სიმძლავრე. რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, მისი პოზიცია სავსებით ნათელია. ეს პოზიცია ის არის, რომ ადამიანის გონების დიადი აღმოჩენა ცივილიზაციის წინააღმდეგ კი არ გამოვიყენოთ, არამედ მოვახმაროთ ამ ცივილიზაციის ყოველმხრივ პროგრესს, არა ადამიანთა მასობრივ გაჟლეტას, არამედ მშვიდობიან საჭიროებას, მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესების ყოველი ღონისძიებით უზრუნველყოფას.

საბჭოთა მთავრობა ითვალისწინებს, რომ ამ მოლაპარაკების მსვლელობაში ამავე დროს განხილულ იქნება საბჭოთა კავშირის შემდეგი წინადადება:

შეთანხმების მონაწილე სახელმწიფოები, ხელმძღვანელობენ რა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისადმი მისწრაფებით, საზეიმოდ კისრულობენ უშენიშვნო ვალდებულებას — არ გამოიყენონ ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა იარაღი.

ამ საკითხზე საერთაშორისო შეთანხმების მიღწევა შეიძლება დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი გახდეს სახელმწიფოთა შეიარაღებიდან ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის სრული ამოღების გზაზე ისე, რომ დაწესდეს მტკიცე საერთაშორისო კონტროლი, რომელიც უზრუნველყოფს სამხედრო მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების აკრძალვის შესახებ შეთანხმების შესრულებას.

საბჭოთა კავშირი, რომელიც დიდად ზრუნავს იმისათვის, რომ კაცობრიობა დაიცვას მომაკვდინებელი ატომური და წყალბადის იარაღისაგან, ყოველ ღონეს იხმარს, რათა ეს იარაღი არასოდეს არ იქნას გამოყენებული ადამიანთა წინააღმდეგ.

„ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიების კომიტეტში

9 და 12 დეკემბერს მოსკოვში აკადემიკოს დ. ვ. სკობელცინის თავმჯდომარეობით გაიმართა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიების კომიტეტის სხდომები.

კომიტეტმა განიხილა წინადადებანი მიმდინარე წლის საერთაშორისო სტალინური პრემიების მინიჭების შესახებ და მიიღო გადაწყვეტილება ამ საკითხზე.

ქვემოთ ქვეყნდება კომიტეტის დადგენილება „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ 1953 წლის საერთაშორისო სტალინური პრემიების მინიჭების შესახებ.

„ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ 1953 წლის საერთაშორისო სტალინური პრემიების მინიჭების შესახებ

„ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიების კომიტეტის 1953 წლის 12 დეკემბრის დადგენილება

მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლის საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისათვის მიენიჭოს **„ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიები** შემდეგ პირებს:

პიერ **კოტს** — ეროვნული კრების დეპუტატს (საფრანგეთი)

საჰიბ სინგ **სოკხეის** — პროფესორს, გენერალ-მაიორს, ინდოეთის პარლამენტის შტატების საბჭოს წევრს

ანდრეა **გაჯეროს** — მღვდელს (იტალია)

იზაბელა **ბლუმს** — პარლამენტის დეპუტატს (ბელგია)

ჰოვარდ **ფასტს** — მწერალს (ამერიკის შეერთებული შტატები)

ჯონ **ბერნალს** — ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორს (ინგლისი)

ლეონ. **კრუჩკოვსკის** — მწერალს (პოლონეთი)

პაბლო **ნერუდას** — მწერალს (ჩილი)

ანდრეა **ანდრეენს** — მედიცინის დოქტორს, ქ. სტოკჰოლმის კლინიკური ლაბორატორიის მთავარ ექიმს (შვეცია)

ნინო ვასილის ასულ **პოპოვას** — პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს მდივანს (სსრ კავშირი)

კომიტეტის თავმჯდომარე დ. ვ. სკობელცინი
კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეები გო მო-ჟო (ჩინეთი)
ლუი არაგონი (საფრანგეთი)

კომიტეტის წევრები:
მ. ანდერსენ-ნექსე (დანია), **იან დემბოვსკი** (პოლონეთი), **მიხეილ სადოვიანუ** (რუმინეთი), **ა. ა. ფადეევი** (სსრ კავშირი), **ი. გ. ერენბურგი** (სსრ კავშირი).

1953 წლის 12 დეკემბერი
ქ. მოსკოვი

მშვიდობისათვის გამოჩენილი მებრძოლნი

აკადემიკოსი დ. ვ. სკობელცინი,

„ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიების კომიტეტის თავმჯდომარე.

მოხდა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიების მორიგი მინიჭება. იმ პრემიის ლაურეატთა სიას, რომელმაც მთელ მსოფლიოში მოიპოვა მშვიდობის სასარგებლო მოღვაწეობისათვის უმაღლესი ჯილდოს მნიშვნელობა, შეემატა ხალხთა სასიცოცხლო ინტერესებისათვის გამოჩენილ მებრძოლთა ახალი ჯგუფი. დაჯილდოებულთა შორის არიან გამოჩენილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები, თვალსაჩინო მეცნიერები, მწერლები, რელიგიის მოღვაწე, — ეს ასახავს მშვიდობის დაცვის მოძრაობის დემოკრატიულ ხასიათს, როგორც ისეთი მოძრაობისა, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა პოლიტიკური იდეოლოგიის და რელიგიური რწმენის ადამიანებს. ანიჭებს რა მშვიდობის სტალინურ პრემიებს, ჩვენი კომიტეტი ისწრაფვის ყოველთვის გამოთქვას მილიონობით ადამიანის მადლობა იმათდამი, ვინც ძალღონეს არ იშურებს და მთელ თავის სიცოცხლეს ახმარს მშვიდობისათვის და ხალხთა შორის ურთიერთგაგებისათვის დაუცხრომელ ბრძოლას.

ლაურეატთა შორის ამჯერადაც არიან მოღვაწეები, რომლებმაც მშვიდობისათვის ბრძოლით საპატიო სახელი მოიხვეჭეს როგორც თავიანთ ქვეყნებში, ისე ამ ქვეყნების ფარგლებს გარეთაც. ისეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის გამოჩენილი ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, საფრანგეთის ეროვნული კრების დეპუტატი **პიერ კოტი**. ფრანგი ხალხი პიერ კოტს იცნობს, როგორც უანგარო პატრიოტს, რომელიც დაუცხრომლად იცავს საფრანგეთის ეროვნულ ინტერესებს, მის ღირსებასა და სიდიადეს. პიერ კოტი საფრანგეთის იმ საზოგადოებრივი წრეების ბრწყინვალე წარმომადგენელია, რომლებიც საფრანგეთის მთელ მოწინავე ძალებთან ერთად იბრძვიან იმისათვის, რომ დაუბრუნონ საფრანგეთს დამოუკიდებელი სახელმწიფოს მდგომარეობა, სახელმწიფოსი, რომელიც ეროვნულ პოლიტიკას ახორციელებს და მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებთან თანამშრომლობს საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში. პიერ კოტმა ფართო მადლიერება დაიმსახურა არა მარტო თავის ქვეყანაში, არამედ საერთაშორისო დემოკრატიული საზოგადოებრიობის წრეებშიც, სადაც მას აფასებენ, როგორც ისეთ პოლიტიკურ მოღვაწეს, რომელიც პატივს სცემს ყველა ხალხის ინტერესებს და იბრძვის ამ ხალხთა შორის მეგობრული ურთიერთობის განვითარებისათვის.

მშვიდობის სტალინური პრემიების ლაურეატთა შორის არის ინდოელი მეცნიერი-მიკრობიოლოგი გენერალ-მაიორი **საჰიბ სინგ სოკხეი**. პროფესორმა სინგ სოკხეიმ თავისი სიცოცხლის მრავალი წელი მოახმარა მეცნიერებას, იმ სნეულებებთან ბრძოლას, რომლებითაც ჯერ კიდევ იტანჯება კაცობრიობის მნიშვნელოვანი ნაწილი. ინდოეთის ცნობილი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის პოსტზე, ჯანმრთელობის დაცვის საკითხთა მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური დირექტორის მოადგილის პოსტზე პროფესორი სინგ სოკხეი ყოველთვის ხელმძღვანელობს მეცნიერების ჭეშმარიტი ინტერესებით. სწორედ ამან მიიყვანა იგი მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის აქტიურ მებრძოლთა რიგებში. როცა დაინახა, რომ მეცნიერების უდიდეს აღმოჩენებს ადამიანთა საზიანოდ იყენებენ, მან მამაცურად აღიმაღლა ხმა, როგორც მეცნიერმა. პროფესორმა სინგ სოკხეიმ მკვეთრად დაგმო ის, რომ ამერიკის ჯარებმა კორეაში გამოიყენეს ბაქტერიოლოგიური იარაღი, დაგმო ეს გამოყენება, როგორც უდიდესი დანაშაული კაცობრიობის სინდისის წინააღმდეგ. დიდი ინდოელი ხალხის ღირსეულმა წარმომადგენელმა პროფესორმა სინგ სოკხეიმ წარმოადგინა კონსტრუქციული წინადადებანი, რომელთა მიზანია მოწესრიგდეს გადაუჭრელი საერთაშორისო საკითხები, ფართო კამპანია გაჩაღდეს დიდ სახელმწიფოთა შორის მოლაპარაკების სასარგებლოდ.

ფრიად მნიშვნელოვანია, რომ მშვიდობის სტალინური პრემია მიენიჭა იტალიელ მღვდელს **ანდრეა გაჯეროს**. იტალიის უბრალო ადამიანთა ინტერესების ამ უანგარო და აქტიური დამცველის სახელი კარგად არის ცნობილი მის ქვეყანაში. ანდრეა გაჯერო ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, როცა მოღვაწეობა დაიწყო, როგორც მღვდელმა გენუის ერთ-ერთ სანავსადგურო რაიონში. აქ იგი დაუახლოვდა შრომის ადამიანებს, ჩასწვდა მათს მწუხარებასა და საჭიროებას. ხედავდა რა უბრალო ხალხის ტანჯვას, გაჯერო სულ უფრო და უფრო რწმუნდებოდა, რომ ომი, რომელსაც იტალია ჰიტლერულ გერმანიასთან ერთად ეწეოდა, ტრაგედია იყო იტალიელი ხალხისათვის. მაშინ იგი მიემხრო წინააღმდეგობის მოძრაობას, შევიდა იტალიის განთავისუფლების ეროვნულ კომიტეტში და გახდა ლიგურიის პარტიზანთა კაპელანი. 1944 წელს იგი დააპატიმრეს, მან მამაცურად გადაიტანა ცნობილ სიკვდილის ბანაკ მაუტჰაუზენში წამება და პატიმრობა.

გამარჯვების დღეებში განთავისუფლებული გაჯერო გენუას დაბრუნდა, სადაც, თუმცა მძიმე ავადმყოფი იყო, მაგრამ ენერგიულად უწევდა დახმარებას ღარიბ ხალხს, განსაკუთრებით ომის გაჭირვებულ ვეტერანებს. იგი ძალღონეს ახმარს თავისი ქალაქის მოქალაქეთა შორის ანტიფაშისტური ერთიანობის დამყარებას. მშვიდობის დაცვის მოძრაობის პირველი ნაბიჯებიდანვე იგი აქტიურად ჩაება ამ მოძრაობაში. მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურმა კათოლიკეთა წრეებმა აუკრძალეს, იგი გაემგზავრა ვარშავაში მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესზე. ეკლესიის ხელისუფლებმა ამის გამო დევნა დაუწყეს გაჯეროს.

მაგრამ ვერავითარმა დევნამ ვერ მოახრევინა ქედი ამ მტკიცე მებრძოლს. როცა კათოლიკეთა ოფიციალურმა წრეებმა კვლავ მოსთხოვეს მას შეეწყვიტა საქმიანობა მშვიდობის დასაცავად, იგი არ დაემორჩილა და თავისი უარის მოტივები განმარტა გაზეთებში გამოქვეყნებულ წერილში. ამის გამო მას ჩამოართვეს მღვდლის წოდება.

მშვიდობის სტალინური პრემია მიენიჭა ცნობილ ბელგიელ საზოგადო მოღვაწეს **იზაბელა ბლუმს**. დაუცხრომელი, განუწყვეტელი მოღვაწეობა მშვიდობის სასარგებლოდ — აი უწინარეს ყოვლისა რა უნდა აღვნიშნოთ, როცა ამ ადამიანზე ვლაპარაკობთ. დღეს იგი პარლამენტში, როგორც მისი წევრი, მგზნებარე სიტყვას ამბობს ბელგიის ეროვნული ინტერესების დასაცავად, ხვალ ღია მიტინგზეა და მოუწოდებს ხალხს დარაზმოს და გააერთიანოს ქვეყნის მთელი ძალები მშვიდობისათვის. იგი შესანიშნავი ორატორი და ორგანიზატორია და სულს ჩაუდგამს ხოლმე ყოველ საქმეს, როცა ეს საქმე ესაჭიროება მისი ქვეყნის ხალხს, უბრალო ადამიანებს. პროფესიით ლიტერატურის მასწავლებელი, იგი ადრე ჩაება საზოგადო მოღვაწეობაში და რამდენიმე ათეული წლის მანძილზე ირიცხებოდა ბელგიის სოციალისტური პარტიის წევრად. ხოლო როცა იზაბელა ბლუმმა, როგორც ჭეშმარიტმა პატრიოტმა, დაიცვა თავისი სამშობლოს ეროვნული დამოუკიდებლობა, გაილაშქრა აგრესიული კავშირების წინააღმდეგ, რომლებიც თავს მოახვიეს ბელგიას, იგი პარტიიდან გარიცხეს და დევნა დაუწყეს. მაგრამ ვერაფერმა ვერ შეაჩერა ეს მამაცი და ენერგიული ქალი: დღეს მას ვხედავთ დასავლეთ გერმანიის ხელახლა შეიარაღების წინააღმდეგ მებრძოლთა, გერმანიის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში.

მთელი მსოფლიო კარგად იცნობს **ჰოვარდ ფასტს** — ნიჭიერ ამერიკელ მწერალსა და მამაც მებრძოლს. ჰოვარდ ფასტის რომანებს „უკანასკნელი საზღვარი“, „თავისუფლების გზა“, „ამაყნი და თავისუფალნი“, პიესას „ოცდაათი ვერცხლი“ და მის სხვა ნაწარმოებებს მილიონობით მკითხველი იცნობს. ეს ნაწარმოებნი მკითხველთ აღუძრავენ პროტესტს ყოველგვარი სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ, აღაფრთოვანებენ მათ ხალხთა თავისუფლებისათვის ბრძოლის დიადი იდეალებით. ახლა, დევნისა და შევიწროების მძიმე ატმოსფეროში, ჰოვარდ ფასტი კვლავ თავისი იდეალების ერთგულია, მისი კალამი კვლავ ემსახურება ადამიანისა და მის უფლებათა და თავისუფლების დაცვის საქმეს. იგი ბრწყინვალედ განასახიერებს მოწინავე, ნამდვილ ამერიკას, იმ უბრალო ადამიანთა ამერიკას, რომლებიც ისევე, როგორც სხვა ქვეყნების ადამიანები, სასიცოცხლოდ არიან დაინტერესებულნი იმით, რომ მთელ მსოფლიოში ხალხთა შორის მშვიდობა და მეგობრობა სუფევდეს. ამ ამერიკას საერთო არაფერი აქვს რეაქციონერთა ამერიკასთან, და მთელი მსოფლიოს პატიოსან ადამიანებს ამერიკელი ხალხი როდი ერევათ იმათში, ვინც ხალხის ინტერესთა წინააღმდეგ ახალი ომის უფსკრულში აგდებს მას.

კომიტეტმა საერთაშორისო სტალინური პრემია მიანიჭა შესანიშნავ ინგლისელ მეცნიერს, გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს **ჯონ ბერნალს**. პროფესორი ჯ. ბერნალი მეცნიერების მოწინავე მოღვაწეა, რომლისთვისაც სულ ერთი როდია, თუ რა მიზნით იყენებენ მეცნიერების მიღწევებს. ეს არის მეცნიერი, რომელიც არა მარტო მუდამ ზრუნავს თვით მეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის, არამედ მოვალედაც თვლის თავს იბრძოლოს იმისათვის, რომ მეცნიერება ადამიანის პროგრესს ემსახურებოდეს, ადამიანის განთავისუფლებას უწყობდეს ხელს. პროფესორმა ჯ. ბერნალმა ბევრი რამ გააკეთა, რათა არა მარტო თავისი ქვეყნის, არამედ სხვა ქვეყნების მეცნიერებიც დაერაზმა მეცნიერების დასაცავად, იმის წინააღმდეგ, რომ მეცნიერების აღმოჩენები სამხედრო მიზნით გამოიყენონ. დიდ მეცნიერ ფიზიკოსს, რომელიც იცავს და ქადაგებს პროგრესულ შეხედულებებს მეცნიერებაში, არაერთხელ აუღია ხელში კალამი და გამოუთქვამს აზრი საჭირბოროტო საზოგადოებრივ საკითხებზე, ისწრაფოდა რა, რომ მეცნიერება მჭიდროდ იყოს დაკავშირებული საზოგადოების მოწინავე ძალების ბრძოლასთან.

პროფესორი ჯ. ბერნალი თავისი მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის განვითარების უმაღლეს საფეხურზეა: იგი ისეთი მეცნიერია, რომელიც დგას მეცნიერების სულ მოწინავე პოზიციებზე და საზოგადოებრივი ბრძოლის შუაგულში იმყოფება.

საერთაშორისო სტალინური პრემიების ლაურეატთა სიაშია თვალსაჩინო პოლონელი მწერალი **ლეონ კრუჩკოვსკის** სახელი. ლ. კრუჩკოვსკი ჯერ კიდევ ომამდელ წლებში გამოვიდა, როგორც პოლონური ლიტერატურის ახალი, პროგრესული მიმდინარეობის ნიჭიერი წარმომადგენელი, გააშუქა რა თავის რომანებში — „კორდიანი და ქამი“, „ფარშავანგის ფრთები“, „მახე“ პოლონეთის საზოგადოების ცხოვრების, მისი ისტორიის სხვადასხვა პერიოდის ძირეული საკითხები.

მეორე მსოფლიო ომის დროს მწერალი პოლონეთის ბევრ პროგრესულ ადამიანთან ერთად ჰიტლერულ საკონცენტრაციო ბანაკში იყო მთელი რიგი წლების მანძილზე. ომის დამთავრების შემდეგ ლ. კრუჩკოვსკი სამშობლოში ბრუნდება და დგება ახალი, სახალხო პოლონეთის მშენებლობის აქტიურ მონაწილეთა რიგებში. ომისშემდგომ პერიოდში იგი ლიტერატურაში გამოდის როგორც დრამატურგი. იგი წერს პიესებს „შურისგება“ და „გერმანელები“, რომლებმაც სამართლიანად შეუქმნეს მას პოლონეთის ყველაზე გამოჩენილი დრამატურგის სახელი. კრუჩკოვსკის პიესა „გერმანელები“ მთელი მოვლენა იყო ევროპულ ლიტერატურაში. თავისი ნაწარმოების ღერძად დრამატურგმა აირჩია გერმანიის მშვიდობიანი დემოკრატიული აღორძინების პრობლემა და გადაჭრა იგი ყველა მშვიდობისმოყვარე და თავისუფლებისმოყვარე ადამიანთა საერთაშორისო ძმობის სულისკვეთებით.

მთელი რიგი წლების მანძილზე ლეონ კრუჩკოვსკი სათავეში უდგას პოლონელ მწერლებს, ეწევა ფართო პუბლიცისტურ მოღვაწეობას, იბრძვის მშვიდობისა და პროგრესის იდეებით გამსჭვალული მოწინავე ლიტერატურის შექმნისათვის.

საერთაშორისო სტალინური პრემია მიენიჭა მსოფლიოში ცნობილ პოეტს **პაბლო ნერუდას**. უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე ხალხთა ბრძოლის უდიდესი ამბები ნიჭიერად არის ასახული სიტყვის ამ გამოჩენილი ოსტატის ნაწარმოებებში. ესპანელი ხალხის 30-იანი წლების გმირული ბრძოლა, სტალინგრადის დიადი ეპოპეა, ლათინური ამერიკის ქვეყნების ხალხთა ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის — ყოველივე ეს აღელვებს პოეტს, რომელმაც ყველაზე ბრწყინვალე თავისი ნაწარმოებნი ამ მოვლენებს მიუძღვნა. მშვიდობის დაცვისათვის ხალხთა მოძრაობაში, რომელიც ომის შემდეგ გაჩაღდა, პაბლო ნერუდას პირველ რიგებში ვხედავთ; მისი პუბლიცისტური და პოეტური სიტყვა გაისმის მსოფლიო კონგრესების ტრიბუნებიდან, ბეჭდვითი გამოცემების ფურცლებიდან და აღაფრთოვანებს მილიონობით ქალსა და მამაკაცს მშვიდობის შენარჩუნებისათვის საბრძოლველად. პაბლო ნერუდას სახელი თანამედროვეობის ყველაზე თვალსაჩინო პროგრესული მწერლების გვერდით დგას; ის, რომ სიტყვის ისეთი მხატვრები, როგორიც პაბლო ნერუდაა, დღეს მშვიდობისათვის აქტიურ მებრძოლთა რიცხვში არიან, მოწმობს მშვიდობის დამცველთა საერთაშორისო მოძრაობის დიდ სიმართლეს, მოძრაობისა, რომელიც თავის რიგებში აერთიანებს კაცობრიობის საუკეთესო, მოწინავე ძალებს.

საერთაშორისო სტალინური პრემია პირველად მიენიჭა სკანდინავიის წარმომადგენელს — ქალაქ სტოკჰოლმის კლინიკური ლაბორატორიის მთავარ ექიმს, ქალთა დემოკრატიული მოძრაობის ცნობილ მოღვაწეს დოქტორ **ანდრეა ანდრეენს**. 1930 წლიდან დოქტორი ანდრეა ანდრეენი უცვლელი თავმჯდომარეა შვეციის ქალთა მემარცხენე კავშირისა, რომელიც 1945 წლიდან შეუერთდა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულ ფედერაციას და მას შემდეგ სხვა ქვეყნების ქალთა ორგანიზაციებთან ერთად იბრძვის ქალების ინტერესებისა და უფლებებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოვლენამ მალე გამოიწვია დოქტორ ანდრეა ანდრეენის გარიცხვა შვეციის სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან, რომლის წევრიც იგი დიდხანს იყო.

1952 წელს, როგორც წევრი ბაქტერიოლოგიური ომის ფაქტების გამომკვლევი საერთაშორისო სამეცნიერო კომისიისა, დოქტორი ანდრეა ანდრეენი ეწვია კორეასა და ჩინეთს. ანდრეა ანდრეენმა საკუთარი თვალით ნახა ამერიკის ჯარების ბოროტმოქმედებანი და როგორც პატიოსანი ადამიანი და ექიმი, სულის სიღრმემდე შეძრწუნდა. ისეთი ობიექტური ადამიანის ნაამბობმა, როგორიც დ-რი ანდრეა ანდრეენია, სკანდინავიის ქვეყნების მრავალი ადამიანი დაარწმუნა მშვიდობის დაცვის სახალხო მოძრაობის სიმართლესა და ძალაში და დააჩქარა ამ ადამიანების შესვლა მშვიდობის მომხრეთა რიგებში.

საერთაშორისო სტალინური პრემიების ლაურეატთა შორის არის საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი, საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის თავმჯდომარე **ნ. ვ. პოპოვა**, რომელსაც საბჭოთა ადამიანები იცნობენ როგორც თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეს, რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებს საბჭოთა ხალხის ბრძოლაში მთელი მსოფლიოს მშვიდობის შენარჩუნებისათვის. ნ. ვ. პოპოვას იცნობს აგრეთვე ბევრი ქვეყნის დემოკრატიული საზოგადოებრიობა როგორც ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის ვიცე-თავმჯდომარეს, რომელიც სხვა ერებისა და ხალხების ქალების მხარდამხარ მუშაობს ფედერაციის კეთილშობილური მიზნებისა და ამოცანების განხორციელებისათვის. ნ. ვ. პოპოვასათვის მშვიდობის სტალინური პრემიის მინიჭება საბჭოთა ადამიანებს მიაჩნიათ იმ უდიდესი წვლილის აღიარებად, რომელიც ჩვენი ქვეყნის მშრომელებს შეაქვთ მთელი მსოფლიოს მშვიდობის შენარჩუნების საქმეში.

მიესალმება რა დღეს საერთაშორისო სტალინური პრემიების ლაურეატთა ახალ ჯგუფს, საბჭოთა ხალხი ულოცავს მათ დამსახურებულ ჯილდოს და უსურვებს ახალ წარმატებებს მათს კეთილშობილურ მოღვაწეობაში.

„ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიების ყოველწლიური მინიჭება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეებისათვის, მიუხედავად მათი პოლიტიკური და რელიგიური შეხედულებებისა, გახდა ისეთი მოვლენა, რომელიც მოწმობს, რომ ხალხთა მოძრაობა მშვიდობის დასაცავად წლითიწლობით იზრდება და მტკიცდება და რომ ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს ამ მოძრაობას, რომელიც გამოხატავს თანამედროვეობის ყველაზე პროგრესულ ტენდენციებს.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიის მონაწილენი სსრ კავშირში

მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის მოწვევით სსრ კავშირში იმყოფება მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ვენის სესიის მონაწილეთა დიდი ჯგუფი. სტუმრები ეცნობიან საბჭოთა ხალხის ცხოვრებას, საწარმოთა, კოლმეურნეობათა, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობას. დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს მოსკოვის ღირსშესანიშნაობანი, ესაუბრნენ დედაქალაქის მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებს.

ლენინგრადში ინდოეთის, ჩილის, არგენტინის, ბრაზილიის ეროვნული კომიტეტების წარმომადგენლებმა ინახულეს სტალინის სახელობის ლითონის ქარხანა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ი. პ. პავლოვის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, დაათვალიერეს ხელოვნების საგანძური — ერმიტაჟი, შეხვდნენ ხელოვნების მოღვაწეებს, დაესწრნენ სპექტაკლებს თეატრებში.

სტუმრები გაემგზავრნენ სტალინგრადში. აქ ისინი გაეცნენ გმირი ქალაქის ისტორიულ ადგილებს, მის საწარმოებს, დაათვალიერეს ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხის ზოგიერთი ნაგებობა.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრმა ჩილის დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე ბალტასარ კასტრომ ქალაქ სტალინოში ინახულა ერთ-ერთი შახტი. მეშახტეები გულთბილად შეხვდნენ სტუმარს და ჩილელი ხალხისადმი თავიანთი მეგობრული გრძნობების ნიშნად მიუძღვნეს მეშახტის ლამპა. (საქდესი).

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში

9 დეკემბერს ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა სსრ კავშირში ბ-ნმა ჩ. ბოლენმა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ვ. მ. მოლოტოვს გამოუგზავნა შემდეგი შინაარსის წერილი:

„პატივცემულო ბატონო მოლოტოვ,

ვწუხვარ, რომ დროზე ვერ მივიღე, რათა, როგორც ვიმედოვნებდი, გუშინ გამომეგზავნა თქვენთვის ტექსტი პრეზიდენტ ეიზენჰაუერის სიტყვისა გენერალური ასამბლეის სხდომაზე.

ამასთან ერთად გიგზავნით პრეზიდენტ ეიზენჰაუერის სიტყვის ამონაწერებს, რომლებიც გუშინ საღამოს მივიღე ვაშინგტონიდან და რომლებიც შეეხება იმ საკითხს, თქვენთან ერთად რომ განვიხილეთ 7 დეკემბერს.

გულწრფელად თქვენი
ჩარლზ ი. ბოლენი,
ამერიკის ელჩი“.

ამონაწერები პრეზიდენტ ეიზენჰაუერის სიტყვიდან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სხდომაზე სამშაბათს, 1953 წლის 8 დეკემბერს

„სულ ამ ცოტა ხნის წინათ საბჭოთა კავშირისაგან მივიღეთ ის, რასაც არსებითად შეიძლება ვუწოდოთ იმის გამოხატულება, რომ იგი თანახმაა მოეწყოს ოთხი სახელმწიფოს თათბირი. ჩვენს მოკავშირეებთან — დიდ ბრიტანეთთან და საფრანგეთთან ერთად მოხარული ვიყავით დაგვენახა, რომ ეს ნოტა არ შეიცავს მიუღებელ წინასწარ პირობებს, რომლებსაც წინათ აყენებდა საბჭოთა კავშირი.

როგორც უკვე იცით ბერმუდესის ჩვენი ერთობლივი კომუნიკედან, შეერთებულმა შტატებმა, დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა მალე მიაღწიეს შეთანხმებას საბჭოთა კავშირთან შეხვედრაზე.

შეერთებული შტატების მთავრობა ამ თათბირს ეგებება იმედითა და გულწრფელობით. ჩვენი გონების მთელ ძალღონეს მოვახმართ იმას, რომ მივაღწიოთ ერთიან მიზანს, რომელიც იმით გამოიხატება, რომ ამ თათბირმა საგრძნობი შედეგები მოუტანოს მშვიდობის საქმეს — საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ერთადერთ სწორ გზას...

შეერთებული შტატები ითვალისწინებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის წინადადებას და მზად არიან დაუყოვნებლივ შეხვდნენ კონფიდენციალურად სხვა ქვეყნების წარმომადგენლებს, რომლებსაც ეს „უმთავრესად ეხება“, რათა გამოინახოს გამალებული ატომური შეიარაღების პრობლემის „მისაღები გადაწყვეტა“, პრობლემისა, რომელიც ჩრდილს აყენებს არა მარტო მშვიდობის საქმეს, არამედ აგრეთვე მთელი მსოფლიოს ცხოვრებას.

ამ კონფიდენციალურ ან დიპლომატიურ მოლაპარაკებაში ჩვენ ახალ კონცეპციას შევიტანთ...

მთავრობებმა, რომლებსაც ეს უმთავრესად ეხება, იმდენად, რამდენადაც ამის საშუალებას იძლევა ელემენტარული კეთილგონიერება, ახლავე უნდა დაიწყონ და შემდგომაც განაგრძონ ნორმალური ურანისა და ხლეჩადი მასალების თავიანთი მარაგიდან რაღაც ნაწილის ერთობლივი გადაცემა ატომის ენერგიის საერთაშორისო ორგანოსათვის. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ასეთი ორგანო შეიქმნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მფარველობით.

შესატანების თანაფარდობა, პროცედურები და სხვა დეტალები გამორკვეულ იქნება „კონფიდენციალური მოლაპარაკების“ დროს, რომელიც ზემოთ მოვიხსენიე.

შეერთებული შტატები მზად არიან მთელი გულწრფელობით განახორციელონ ეს ცდები. შეერთებული შტატების ყოველი პარტნიორი, რომელიც ასევე გულწრფელად მოქმედებს, დაინახავს, რომ შეერთებული შტატები სრულიადაც არ არიან უგუნური ან არადიდსულოვანი პარტნიორი.

თავდაპირველი შესატანები ამ გეგმის განხორციელების საქმეში, უეჭველია, რაოდენობით მცირე იქნება. მაგრამ ამ წინადადებას დიდი ღირსებები აქვს, რამდენადაც იგი შეიძლება განხორციელდეს და არ გამოიწვიოს გაღიზიანება და ურთიერთისადმი ეჭვები, რაც თან ახლავს ყოველ ცდას — შეიქმნას საერთაშორისო ინსპექციისა და კონტროლის სავსებით მისაღები სისტემა.

ატომის ენერგიის ორგანოსათვის შეიძლებოდა დაგვეკისრებინა პასუხისმგებლობა მის განკარგულებაში გამოყოფილი ხლეჩადი და სხვა მასალების შეგროვებისათვის, დაზოგვისა და დაცვისათვის. ჩვენი მეცნიერების გამომგონებლობა უზრუნველყოფს განსაკუთრებით უსაშიშრო პირობების შექმნას, რომელთა დროსაც ხლეჩადი მასალების ასეთი მარაგი არსებითად შეიძლება დაზღვეული გავხადოთ მოულოდნელი მიტაცებისაგან.

ატომის ენერგიის ამ ორგანოს უფრო დიდმნიშვნელოვანი ამოცანა იქნებოდა იმ მეთოდების შემუშავება, რომელთა დახმარებითაც ეს ხლეჩადი მასალები შეიძლებოდა გამოგვეყო კაცობრიობის მშვიდობიანი მოღვაწეობისათვის. სპეციალისტები მობილიზებული იქნებოდნენ, რათა ატომის ენერგია გამოეყენებინათ სოფლის მეურნეობის, მედიცინისა და მოღვაწეობის სხვა მნიშვნელოვანი დარგების საჭიროებისათვის. სპეციალური მიზანი ის იქნებოდა, რომ უზრუნველგვეყო ელექტროენერგიის სიუხვე მსოფლიოს იმ რაიონებისათვის, რომლებიც ელექტროენერგიის ნაკლებობასაც განიცდიან. ამრიგად, სახელმწიფოები, რომლებიც ამ საქმეში ითანამშრომლებენ, თავიანთი ძალების ერთ ნაწილს მოახმარდნენ კაცობრიობის საჭიროებათა დაკმაყოფილებას იმის ნაცვლად, რომ მას შიში ჩაუნერგონ.

შეერთებული შტატები მზად იქნებოდნენ, უფრო მეტიც — ისინი იამაყებდნენ, სხვებთან ერთად, „რომლებსაც ეს უმთავრესად ეხება“, დაეწყოთ იმ გეგმების შემუშავება, რომელთა დახმარებითაც შეგვეძლებოდა დაგვეჩქარებინა ატომის ენერგიის ასეთი მშვიდობიანი გამოყენება.

იმ ქვეყნებს შორის, „რომლებსაც ეს უმთავრესად ეხება“, რასაკვირველია, უნდა იყოს საბჭოთა კავშირიც...“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დანიშნა:

1) სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. მაქსიმე ზაქარიას-ძე საბუროვი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

2) ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის მინისტრი ამხ. მიხეილ გიორგის-ძე პერვუხინი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

3) მეტალურგიული მრეწველობის მინისტრი ამხ. ივანე თევდორეს-ძე თევოსიანი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

4) საშუალო მანქანათმშენებლობის მინისტრი ამხ. ვიაჩესლავ ალექსანდრეს-ძე მალიშევი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

5) სსრ კავშირის ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის მინისტრი ამხ. ალექსი ნიკოლოზის-ძე კოსიგინი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

მხატვრული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა 1954 წელს

საბჭოთა კავშირში უმაგალითოდ ფართოდ განვითარდა მხატვრული ლიტერატურის გამოცემა. მსოფლიოს ვერც ერთი სხვა ქვეყანა ამ მხრივ მას ვერ შეედრება. სსრ კავშირში წიგნის წლიურმა ტირაჟმა 800 მილიონ ეგზემპლარს მიაღწია.

1954 წელს ჩვენი ქვეყნის გამომცემლობებმა ფართო გეგმები უნდა განახორციელონ. მარტო მხატვრული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობას დასახული აქვს გამოუშვას 400-მდე სახელწოდების წიგნი, რომელთა საერთო ტირაჟი 45 მილიონ ეგზემპლარს გადააჭარბებს. დასახულია შემცირდეს ხელმოწერით გამოცემათა გამოშვების ვადა, გაუმჯობესდეს მათი პოლიგრაფიული და მხატვრული შესრულება.

მხატვრული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობის გეგმით გათვალისწინებულია რუსული და უცხოეთის ლიტერატურის კლასიკოსთა და საბჭოთა მწერლების თხზულებათა 25 კრებულის გამოცემა. წინათ დაწყებული თხზულებათა კრებულების გამოშვების განგრძობასთან ერთად, დაიწყება ახალი კრებულების გამოცემა. 1954 წელს ხელმოწერა დაიწყება ა. ჩეხოვის, გ. უსპენსკის, ს. სერგეევ-ცენსკის, ვს. ვიშნევსკის, ვ. ვასილევსკაიას, ვ. ლაცისის, ლუ სინის, რომენ როლანის, ჟიულ ვერნის, ჯეკ ლონდონის თხზულებათა კრებულებზე.

დასახულია დამთავრდეს ი. გონჩაროვის, პ. პავლენკოს, ლ. ლეონოვის, კ. ფედინის, ო. ბალზაკის, ტ. დრაიზერის, მ. ნექსეს, ე. ოჟეშკოსა და სხვა მწერლების თხზულებათა კრებულების გამოცემა.

გეგმით ნავარაუდევია ერთ, ორ და სამ ტომად გამოიცეს ა. პუშკინის, მ. ლერმონტოვის, მ. სალტიკოვ-შჩედრინის, ა. პისემსკის რჩეული ნაწარმოებები. გამოიცემა ვ. შიშკოვის, ვ. ივანოვის, ვ. ინბერის, კ. ტრენევის, ს. ესენინის, ა. სურკოვის, ა. ტვარდოვსკის რჩეული ნაწარმოებნი. გამოიცემა უცხოეთის ლიტერატურა — ჩ. დიკენსის, ე. ზოლას, გ. ფილდინგის, გ. ფლობერის, მ. ტვენის, ო. ჰენრის, ა. ფრანსის ცალკეული წიგნები, აგრეთვე თანამედროვე უცხოეთის ლიტერატურის ავტორთა ნაწარმოებები — ჩინელი მწერლის მაო დუნის, რუმინელი მწერლის მ. სადოვიანუს, ისლანდიელი მწერლის ჰ. ლაქსნესის, ფრანგი მწერლის პ. ვაიან-კუტიურიეს და ბევრი სხვა მწერლის ნაწარმოებნი.

გეგმაში ფართოდ არის წარმოდგენილი სსრ კავშირის ხალხთა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ლიტერატურა.

ისტორიული თარიღის — რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის აღსანიშნავად მხატვრული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა გამოსცემს 15 წიგნს, მათ შორის — უკრაინული ლიტერატურის კლასიკოსთა მოთხრობების სამტომეულს, უკრაინის თანამედროვე მწერალთა ნაწარმოებებს. (საქდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად მოითხოვს საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტების ულმობლად დასჯას

★

საბჭოთა ხალხის მრისხანება

გავაძლიეროთ რევოლუციური სიფხიზლე

კიევი. (საკდესი). კ. მარქსის სახელობის ფაბრიკის კლუბის ვრცელი დარბაზი ხალხით გაჭედილია. აქ შეიკრიბნენ ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მოწინავე საკონდიტრო საწარმოს მუშები და მოსამსახურენი.

პირველი სიტყვას იღებს ამხ. როჟკოვა. ტრიბუნაზე ავიდა ჭაღარამოსილი ქალი, რომელიც 30 წელიწადია მუშაობს ფაბრიკაში. მან თქვა:

— საშინელი ბოროტმოქმედების ჩადენა ჰქონდათ განზრახული ადამიანთა მტარვალებს, რომლებიც უცხოეთის კაპიტალს მიეყიდნენ. მოღალატე ბერიასა და მის დამქაშებს უნდოდათ მოესპოთ ჩვენთვის თავისუფალი ცხოვრებისა და შრომის შესაძლებლობა, ბურჟუაზიის მონებად გავეხადეთ. ჯაშუშთა და მკვლელთა ბანდა მხილებულია და გაუვნებლებულია. კიდევ უფრო მჭიდროდ დავირაზმებით მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო.

— მკვლელებსა და შეთქმულებს დანაშაულზე წაასწრეს, — თქვა თავის გამოსვლაში კარამელის საამქროს საუკეთესო ზეინკალმა ამხ. ფედორენკომ. — საბჭოთა ხალხმა სამარცხვინო ბოძზე გააკრა ისინი.

ამხ. ფედორენკომ მოუწოდა ფაბრიკის კოლექტივს გააძლიეროს რევოლუციური სიფხიზლე, კიდევ უფრო ენერგიულად იშრომოს.

კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც აღშფოთებას გამოთქვამენ საზიზღარი მტრის ბერიასა და მის თანამზრახველთა დანაშაულებრივი მოქმედების გამო და მოითხოვენ სამშობლოს მოღალატეთა სასტიკად დასჯას.

დამნაშავენი სასტიკად უნდა დაისაჯონ

ვილნიუსი. (საკდესი). ვილნიუსის საწარმო-დაწესებულებებსა და სასწავლებლებში გაიმართა ხალხმრავალი კრებები, რომლებიც მიეძღვნა სსრ კავშირის პროკურატურის ცნობას სამშობლოს საზიზღარი მოღალატის ბერიას და მისი დამქაშების საქმის შესახებ.

სამკერვალო ფაბრიკა „ლელიის" რამდენიმე ასეული მუშა შეიკრიბა კრებაზე № 3 ვრცელ საამქროში. ლაპარაკობს ცვლის უფროსი იანინა ზაბულენიტე:

საბჭოთა ხალხის საზიზღარი მოღალატე და მის თანამზრახველთა ბანდა გულმოდგინედ ნიღბავდნენ თავიანთ დანაშაულებრივ საქმიანობას. ისინი მოქმედებდნენ როგორც საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტები, ცდილობდნენ რა აღედგინათ ჩვენს ქვეყანაში კაპიტალისტთა და მემამულეთა ხელისუფლება. საზიზღარი მტრები ცდილობდნენ შუღლი ჩამოეგდოთ მრავალეროვანი საბჭოთა კავშირის ხალხთა შორის.

საბჭოთა ხალხი დაუცხრომლად აძლიერებს თავის რევოლუციურ სიფხიზლეს, უფრო მჭიდროდ ირაზმება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო. ჩვენ მოვითხოვთ, რომ ულმობლად მკაცრად დაისაჯონ სამშობლოს მოღალატენი. არავითარი დანდობა ხალხის მტრებს!

არავის არ დავანებებთ ძირი გამოუთხაროს საკოლმეურნეო წყობილებას!

ორჯონიკიძე. (ტაშკენტის ოლქი), (საკდესი). ორჯონიკიძის რაიონის მოწინავე კოლმეურნეობა „ყზილ უზბეკისტანის" ასობით მებამბე შეიკრიბა სასოფლო-სამეურნეო არტელის ვრცელ კლუბში. მათ ყურადღებით მოისმინეს სსრ კავშირის პროკურატურის ცნობა, რომელიც წაიკითხა პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ი. საიპოვმა.

სიტყვას იღებს წარჩინებული მებამბე, უხვი მოსავლის ოსტატი, კომუნისტი ა. ეგამბერდიევი. იგი ამბობს:

— სამშობლოს საზიზღარ მოღალატეს ბერიას და მის თანამზრახველებს სურდათ შეეჩერებინათ ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობის სწრაფი ზრდა, წაერთმიათ ჩვენთვის ბედნიერი საკოლმეურნეო ცხოვრება. მაგრამ მტრების გეგმები გაცამტვერდა. არ არსებობს ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს შეაჩეროს ჩვენი ძლევამოსილი წინსვლა კომუნიზმის გზით! არავის არ დავანებებთ ძირი გამოუთხაროს საკოლმეურნეო წყობილებას! მოვითხოვთ სასტიკად დაისაჯონ საერთაშორისო იმპერიალიზმის დაქირავებული აგენტები.

კოლმეურნეებმა პირობა მისცეს პარტიასა და მთავრობას, რომ მთელ ძალღონეს მოახმარენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა უსწრაფესად განხორციელების საქმეს, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საქმეს.

★ ★

ჩვენი ქვეყანა უძლეველია

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების, სტუდენტებისა და მუშა-მოსამსახურეების კრება, რომელსაც ათასზე მეტი კაცი დაესწრო, გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა ე. ბურჭულაძემ.

სსრ კავშირის პროკურატურის ცნობა სამშობლოს მოღალატე ბერიას საქმის გამოძიების დამთავრების შესახებ დამსწრეთ გააცნო უნივერსიტეტის პარტკომის მდივანმა მ. ალექსიშვილმა.

სიტყვით გამოსულმა პროფესორმა ნინო ციციშვილმა გამოთქვა თავისი გულისწყრომა იმის გამო, რომ მოღალატე ბერია, რომელსაც ქვეყნის შიგნით არ გააჩნდა სოციალური დასაყრდენი, უცხოელი იმპერიალისტების დახმარებით ცდილობდა ძირი გამოეთხარა ჩვენი სამშობლოს ძლიერებისათვის.

ტრიბუნაზეა სახელმწიფოსა და სამართლის კათედრის გამგე პროფესორი ი. ტალახაძე.

— უცხოეთის კაპიტალის პირსისხლიანი აგენტი ბერია, — თქვა მან, — ყოველი ღონისძიებით ცდილობდა გამოეცოცხლებინა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ელემენტების ნაშთები მოკავშირე რესპუბლიკებში, დაეთესა მტრობა და განხეთქილება ჩვენი ქვეყნის ხალხებს შორის. მაგრამ საბჭოთა ხალხს, რომელსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს, ვერავინ გადაახვევინებს სწორი გზიდან, ვერავინ შეარყევს ჩვენი ქვეყნის ძლიერებას, ხალხთა ურღვევ მეგობრობას.

ხალხის მტერ ბერიას და მისი ანტისაბჭოთა ჯგუფის მონაწილეებს სურდათ წაერთმიათ ბედნიერი ახალგაზრდობა ჩვენი სტუდენტობისათვის. სტუდენტებმა ე. ზნამენსკაიამ და ზ. კორაშვილმა, რომლებმაც ილაპარაკეს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ზრუნვაზე სტუდენტობისათვის, დაგმეს ბერიას მოღალატური საქმიანობა და მოითხოვეს მისი მკაცრი დასჯა.

სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე პროფესორები ვ. თოფურია და უფროსი მასწავლებელი ნ. იაკიმენკო. მეცნიერები და სტუდენტები მოითხოვდნენ ხალხის საზიზღარი მტრის ბერიას და მისი ავაზაკური საქმიანობის თანამონაწილეთა დასჯას საბჭოთა კანონიერების მთელი სისასტიკით.

ქართველი მწერლების კრებაზე

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის კლუბში შედგა მწერალთა და მუშა-მოსამსახურეთა კრება. სსრ კავშირის პროკურატურის ცნობა სამშობლოს მოღალატე ბერიას საქმის გამოძიების დამთავრების შესახებ წაიკითხა პოეტმა გ. აბაშიძემ.

სიტყვით პირველი გამოდის კრიტიკოსი ე. ქარელიშვილი. იგი კრების მონაწილეებს მოუთხრობს იმ საზიზღარი, მოღალატური, დანაშაულებრივი მოქმედების შესახებ, რასაც პარტიისა და ხალხის მტერი, საერთაშორისო იმპერიალიზმის დაქირავებული აგენტი ბერია და მისი ნაბოლარები ეწეოდნენ.

— გარეწარ ბერიას მოღალატური საქმიანობა მიმართული იყო კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლებისათვის ძირის გამოთხრისაკენ, — ამბობს ორატორი, — მთელი საბჭოთა ხალხი მოითხოვს ბერიასა და მისი პირსისხლიანი ბანდის სასტიკად დასჯას. ამ მოთხოვნას თავის ხმას უერთებენ ქართველი მწერლებიც.

სიტყვით გამოდის პოეტი ალიო მირცხულავა:

— გულისწყრომასა და აღშფოთებას გამოვთქვამ სამშობლოს მოღალატის ძირგამომთხრელი, ჯალათური მოქმედების გამო. მოღალატე ბერიასა და მის თანამზრახველებს სურდათ შეერყიათ საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერება, დაერღვიათ ხალხთა მეგობრობა, მაგრამ ეს არ გამოუვიდათ. ზიზღსა და აღშფოთებას იწვევს ის სისხლისმსმელობა და კაცთმოძულეობა, რასაც ბერია იჩენდა საბჭოთა ადამიანების მიმართ.

სიტყვით გამოსული მწერლები ს. შანშიაშვილი, დ. შენგელაია, გ. ბუხნიკაშვილი, ლ. ასათიანი, ს. კლდიაშვილი, გ. ლეონიძე, გამოთქვამდნენ რა გულისწყრომასა და ზიზღს ბერიას დანაშაულებრივი მოქმედების გამო, მოუწოდებდნენ ლიტერატურის, მხატვრული სიტყვის ფრონტის მუშაკებს ახალი შემოქმედებითი აღმავლობისაკენ.

კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად მოითხოვეს საერთაშორისო იმპერიალიზმის პირსისხლიანი აგენტის, საბჭოთა სახელმწიფოსა და ხალხის საზიზღარი მტრის ბერიასა და მისი დამქაშების დასჯა საბჭოთა კანონიერების მთელი სიმკაცრით.

დეპოელთა სიტყვა

თბილისის საორთქლმავლო დეპოში ხალხმრავალ კრებაზე თავი მოიყარეს მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა, მოსამსახურეებმა.

დეპოელთა აზრი გამოხატა თავის სიტყვაში აწევითი საამქროს ოსტატმა გ. ბერიაშვილმა.

— მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, — თქვა მან, — ჩვენი კოლექტივი ზიზღითა და აღშფოთებით გმობს იმპერიალიზმის დაქირავებული აგენტის ბერიას და მისი დამქაშების ვერაგულ მოქმედებას. ხალხის ეს უბოროტესი მტრები ცდილობდნენ ძირი გამოეთხარათ ჩვენი მრავალეროვანი სახელმწიფოს ძლიერებისათვის, პარტიის ერთიანობისათვის, შუღლი ჩამოეგდოთ სსრ კავშირის ხალხთა შორის. მაგრამ დაე ცოდნენ მტრებმა და მათმა საზიზღარმა აგენტებმა, რომ საბჭოთა ხალხი აღგვის თავის გზაზე ყველას, ვინც შეეცდება ხელყოს მისი დიადი მონაპოვარი. ჩვენ მოვითხოვთ იმპერიალიზმის დაქირავებული აგენტის ბერიასა და მისი დამქაშების მკაცრად დასჯას.

ტრიბუნაზეა ცნობილი სტახანოველი შ. ხიზანიშვილი.

— პარტიისა და ხალხის უბოროტეს მტრებს, — თქვა მან, — ნიღაბი ჩამოგლიჯეს. ჩვენ, დეპოელები, მოვითხოვთ იმპერიალიზმის დაქირავებული აგენტების დასჯას საბჭოთა კანონის მთელი სიმკაცრით. პირობას ვდებთ, რომ უფრო თავდადებით ვიმუშავებთ საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე უფროსმა მემანქანემ გ. წიკლაურმა, ზეინკალმა ს. ავრამოვმა, მემანქანემ გ. შავერდაშვილმა, ბრიგადირმა პ. ზაგოროვსკიმ და სხვებმა.

კრების მონაწილეებმა ერთხმად მოითხოვეს საბჭოთა ქვეყნის უბოროტესი მტრების — ბერიასა და მისი დამქაშების მთელი სიმკაცრით დასჯა.

მტრები გაცამტვერებული იქნებიან

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო მჭიდრო დარაზმულობის ვითარებაში ჩაიარა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მუშა-მოსამსახურეთა კრებამ, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის პროკურატურის ცნობას სამშობლოს მოღალატე ბერიას და მისი ჯგუფის ანტისახელმწიფოებრივი მოქმედების შესახებ.

— კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის უბოროტესი მტერი ბერია, — თქვა თავის სიტყვაში ორკესტრის მსახიობმა ამხ. ა. სეხნიაშვილმა, — ცდილობდა ძირი გამოეთხარა საყვარელი საბჭოთა სამშობლოსათვის, მიზნად ისახავდა ხელისუფლების ხელში ჩაგდებას და საბჭოთა წყობილების მოსპობას კაპიტალიზმის რესტავრაციისა და ბურჟუაზიის ბატონობის აღდგენის მიზნით. გამოვხატავ რა ჩვენი თეატრის კოლექტივის ერთსულოვან სურვილს, მოვითხოვ მოღალატე ბერიას და მისი ჯგუფის დასჯას საბჭოთა მართლმსაჯულების მთელი სიმკაცრით.

ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორმა დ. მჭედლიძემ განაცხადა:

— უდიდესი გულისწყრომა და აღშფოთება გამოიწვია თვითეული ჩვენგანის გულში მოღალატე ბერიას და მისი თანამზრახველების ანტისახელმწიფოებრივმა დანაშაულებრივმა მოქმედებამ. ბერია და მისი თანამზრახველები, როგორც საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტები და საბჭოთა ხალხის უბოროტესი მტრები, აღგვილ უნდა იქნან მიწის პირისაგან.

საბჭოთა ადამიანების რისხვა

კლუბის დიდი დარბაზი ხალხით არის სავსე. ადამიანთა სახეებს აღშფოთება და რისხვა ამჩნევია. სამშობლოს მოღალატის გარეწარ ბერიას ბოროტმოქმედებანი თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშებისა და მოსამსახურეების მძაფრ გულისწყრომას იწვევს.

ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიან ფაბრიკის სტახანოველი მქსოველები, მხვეველები, ინჟინრები, ოსტატები.

ისინი გმობენ ქვეწარმავალ ბერიას დანაშაულებრივ საქმიანობას და ერთხმად მოითხოვენ მის სასტიკად დასჯას.

— ის ფაქტი, — თქვა სტახანოველმა მემასრემ თ. მიზინოვამ, — რომ ჩვენმა სახელოვანმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დროზე აღკვეთეს მავნებელ ბერიასა და მის თანამონაწილეთა ძირგამომთხრელი საქმიანობა, ერთხელ კიდევ ადასტურებს ჩვენი სამშობლოს ძლიერებასა და სიმტკიცეს. საბჭოთა ადამიანები, მათ შორის ჩვენი ფაბრიკის კოლექტივი კიდევ უფრო თავგამოდებით იბრძოლებენ ახალი შრომითი წარმატებებისათვის, საბჭოთა სამშობლოს ძლიერების განმტკიცებისათვის.

ფაბრიკის კოლექტივი ერთსულოვნად გამოხატავს თავის აღშფოთებას მოღალატე ბერიასა და მის დამქაშთა მტრული საქმიანობის გამო და მოითხოვს მათთვის მკაცრ სასჯელს.

★

მეშახტეთა ხმა

ტყიბული. (საკ. კორ.). მილიონობით საბჭოთა ადამიანების გულისწყრომას შეუერთეს თავიანთი ხმა ტყიბულის მეშახტეებმა.

ლენინის სახელობის შახტში გამართულ მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე სიტყვა აიღო ძველმა მუშამ პ. ძნელაძემ.

— საერთაშორისო იმპერიალიზმის საზიზღარი აგენტები ბერია და მისი დამქაშები, — თქვა მან, — შეეცადნენ შეეჩერებინათ კომუნიზმისაკენ ჩვენი ძლევამოსილი წინსვლა, აღედგინათ ჩვენს ქვეყანაში კაპიტალიზმი, მაგრამ ამის განხორციელება არასოდეს არავის არ ეღირსება. მოღალატეთა ჯგუფის გამომჟღავნება ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ როგორც არ უნდა ინიღბებოდნენ ჩვენი მტრები, საბოლოოდ მაინც გამომჟღავნებული და განადგურებული იქნებიან. უსაზღვროა ჩვენი, ტყიბულელ მეშახტეთა აღშფოთება. ჩვენ მოვითხოვთ ხალხის მტერ ბერიასა და მისი ბანდის სასტიკად დასჯას.

ახალგაზრდა მნგრეველმა ი. ლაფერაძემ განაცხადა:

— გარეწარი ბერია ცდილობდა დაეთესა შუღლი და მტრობა სსრ კავშირის ხალხთა შორის, რათა შეესუსტებინა ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლო — მშვიდობისა და დემოკრატიის მძლავრი დასაყრდენი. მაგრამ გარეწართა ვერაგული ზრახვები მხილებულია. საზიზღარი ქვეწარმავლები დაუნდობლად იქნებიან გასრესილნი.

სტახანოველმა გამყვანმა ს. ვილკომ, რომელმაც გულისწყრომით დაგმო ბერიას მოღალატური ბანდა, მეშახტეებს მოუწოდა კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმონ მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო.

არავითარი დანდობა მოღალატეებს!

წითელწყარო. („კომუნისტის" კორ.). სსრ კავშირის პროკურატურის ცნობამ ცხოველი გამოხმაურება ჰპოვა რაიონის მშრომელებში. კოლმეურნეობებში, მტს-ებში, საბჭოთა მეურნეობებსა და წარმოება-დაწესებულებებში გაიმართა მშრომელთა ხალხმრავალი კრებები.

სოფელ არბოშიკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმის გამგემ ილია ჯამალაშვილმა კრებაზე სამარცხვინო ბოძზე გააკრა სამშობლოს მოღალატე ბერია და შეთქმულთა მისი ჯგუფის მონაწილეები — მერკულოვი, დეკანოზოვი, ქობულოვი, გოგლიძე, მეშიკი, ვლოძიმირსკი.

ამხ. ჯამალაშვილმა მოუწოდა კოლმეურნეებს — გააძლიერონ რევოლუციური სიფხიზლე, გაორკეცებული ენერგიით იმუშაონ სამშობლოს საკეთილდღეოდ.

— მშრომელი ხალხის დაუძინებელი მტერი ბერია და მისი თანამზრახველნი, — განაცხადა გამარჯვების მტს-ის სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელმა ა. გოგოლაშვილმა, — თავიანთ მოღალატურ საქმიანობას უკავშირებდნენ იმპერიალიზმის ინტერესებს. მაგრამ სამშობლოს გამყიდველთა ზრახვები ჩაიფუშა, რაც ერთხელ კიდევ მოწმობს საბჭოთა სახელმწიფოს უძლეველ ძალას.

რაიონის მშრომელები ერთსულოვნად მოითხოვენ ხალხის მტერ მოღალატე ბერიასა და მისი გამცემლური ჯგუფის ულმობლად დასჯას და მტკიცე სიტყვას იძლევიან, რომ კიდევ უფრო თავდადებით იშრომებენ პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანების განსახორციელებლად.

მოვითხოვთ ხალხის მტრების სასტიკად დასჯას

დიდი აღშფოთება იყო გამოხატული თვითეული ორატორის სიტყვაში თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკას მუშების, მოსამსახურეებისა და ინჟინერ-ტექნიკოსების კრებაზე.

— ქართველი ხალხი, ისევე როგორც დიდი საბჭოთა ქვეყნის ყველა მშრომელი, — თქვა მაუდის საამქროს ოსტატმა ვ. ჯორჯაძემ, — აღშფოთებულია ხალხის უსაზიზღრესი მტრის ბერიას დანაშაულებრივი მოქმედებით. ბერიასა და მის დამქაშებს სურდათ ჩვენს ქვეყანაში აღედგინათ კაპიტალისტური წყობილება, დაერღვიათ საბჭოთა ხალხის დიადი მეგობრობა. ვფიქრობ, გამოვხატავ ჩვენი ფაბრიკის კოლექტივის ყველა წევრის მისწრაფებას, თუ მოვითხოვ ხალხის საზიზღარი მტრის, უცხოეთის კაპიტალის აგენტის ბერიასა და მისი თანამზრახველების უსასტიკესად დასჯას.

კრებაზე სიტყვებით გამოსული კამვოლური საამქროს უფროსი ოსტატი ვ. ვაზაგაშვილი, სამღებრო-საპრეტურო საამქროს მუშა გ. ზაქარეიშვილი, საქსოვი საამქროს ინსტრუქტორი ნ. პეტრიაშვილი, კამვოლური საამქროს ინჟინერ-ნორმადარი ს. თუმანოვი და სხვები ფაბრიკის მთელი კოლექტივის სახელით მოითხოვდნენ უცხოეთის დაქირავებული აგენტის, ჯალათ ბერიას და მისი ხროვის დასჯას საბჭოთა კანონების მთელი სისასტიკით.

პარტიული ცხოვრება

პირველი ნაბიჯები

ახალსოფლის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში წამყვანი კულტურების — თამბაქოსა და სიმინდის გარდა ვთესავთ აგრეთვე ბოსტნეულ-ბაღჩეულ კულტურებს. 1950 წელს დათესილი იყო 2 ჰექტარი ბოსტნეული, 1951 წელს — 5 ჰექტარი. ხოლო 1953 წელს დათესილი გვაქვს 10,75 ჰექტარი, საიდანაც 1 ოქტომბრამდე მივიღეთ 131.500 მანეთი ფულადი შემოსავალი. შექმნილია მებოსტნეობის სპეციალური ბრიგადა, რომელსაც მოწინავე მებოსტნე გ. თოდუა ხელმძღვანელობს.

გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ ჩვენი რაიონის პირობებში შესაძლებელია მებოსტნეობის ფართოდ განვითარება. ბეჯითი შრომით მებოსტნეობის მოწინავე რგოლმა, რომელსაც კომუნისტი თ. ყალიჩავა ხელმძღვანელობს, ბოსტნეული კულტურების მაღალი მოსავალი მიიღო. წელს ჰექტარზე გადაანგარიშებით რგოლმა მოიყვანა 155 ცენტნერი კომბოსტო, 210 ცენტნერი ბადრიჯანი, 98 ცენტნერი ბულგარული წიწაკა, 121 ცენტნერი კიტრი, 80 ცენტნერი კარტოფილი და სხვ. ეს წარმატებანი რგოლმა მოიპოვა აგროტექნიკურ ღონისძიებათა ზუსტად განხორციელებით. ამ საქმეში დიდი წვლილი აქვს შეტანილი აგრონომს კომუნისტ ვ. დეისაძეს, რომელიც მებოსტნეობის ბრიგადაში აგიტატორად არის გამოყოფილი.

ოქტომბერში ღია პარტიულ კრებაზე განვიხილეთ კოლმეურნეობაში მებოსტნეობის განვითარების საკითხი. კომუნისტებმა და უპარტიო აქტივისტებმა ამხილეს ნაკლოვანებანი ბოსტნეული კულტურების დამუშავებასა და მოყვანაში, აღნიშნეს, რომ მებოსტნეობაში დანერგილი არ არის მექანიზაცია, კოლმეურნეობის გამგეობა სუსტად ახორციელებს კონტროლს შესრულებულ სამუშაოთა ხარისხისადმი. კრებამ დასახა ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, გამგეობის წინაშე დააყენა საკითხი მებოსტნეობის 3 ბრიგადის შექმნისა და მომავალ წელს 45 ჰექტარზე ბოსტნის გაშენების შესახებ. მებოსტნეობაში მექანიზაციის ფართოდ დანერგვის მიზნით გადაწყდა შევიძინოთ 3-4 სატვირთო ავტომანქანა, 20 კულტივატორი, ტორფნეშომპალიანი ქოთნების გასაკეთებელი მოწყობილობა, შესაფრქვევი და შესაწამლი აპარატები.

პარტიული ორგანიზაცია სათავეში ჩაუდგა კოლმეურნეთა შრომითს აქტივობას. უკანასკნელ ხანს კოლმეურნეობაში საგრძნობლად გაძლიერდა საგიტაციო-მასობრივი მუშაობა და ლექციური პროპაგანდა. ათი აგიტატორი კოლმეურნეებს აცნობს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებს, დაწვრილებით განუმარტავს მათ პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილებიდან გამომდინარე ამოცანებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია აგიტატორების ლ. ესართიას, პ. გულუას, ვ. დეისაძის, ვ. კობახიძის, ე. გოქსაძისა და ხ. დარსალიას ნაყოფიერი მუშაობა. ისინი საუბრებს მჭიდროდ აკავშირებენ ბრიგადების სამეურნეო საქმიანობასთან.

ამ დღეებში მოეწყო აგიტკოლექტივის სპეციალური მეცადინეობა. მეცადინეობის თემა იყო: აგიტატორის როლი მებოსტნეობის განვითარებისათვის ბრძოლაში. უკანასკნელ ხანს, ხშირად იმართება საინტერესო ლექციები როგორც მოწვეული, ისე ადგილობრივი ძალების საშუალებით. ამას წინათ ლექტორმა ამხ. თვალჭრელიძემ წაიკითხა ლექცია თემაზე — „კარტოფილისა და ბოსტნეული კულტურების განვითარების მნიშვნელობა". ცუდად როდი მუშაობს ჩვენი სოფლის ლექტორიუმი, რომელშიც გაერთიანებულია მოწინავე ინტელიგენცია. სოფლის ლექტორიუმს კომუნისტი ნ. ნაროუშვილი ხელმძღვანელობს.

ჩვენს კოლმეურნეობაში ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებას. ამჟამადაც სამარცხვინოდ ჩამორჩება მეცხოველეობის პროდუქტიულობის გეგმის შესრულება. წელს 79 საფურაჯე ძროხიდან თვითეულზე საშუალოდ მიღებულია 300 ლიტრი რძე, გეგმის მხოლოდ 40 პროცენტი. მეცხოველეობის ასეთი დაბალი პროდუქტიულობა იმის შედეგია, რომ ფერმებში დანერგილი არ არის მექანიზაცია, მოუწესრიგებელია შრომა, შექმნილი არ არის საკვები ბაზა, სუსტია ზოოვეტერინარული მომსახურება.

ამას წინათ პარტიულმა ორგანიზაციამ განიხილა ფერმებში შექმნილი მდგომარეობა და ზომები მიიღო საკვების მომარაგებისათვის. პარტიული ორგანიზაციის ინიციატივით უკვე დამზადებული და ადგილზე მიტანილია გასულ წელთან შედარებით 280 ცენტნერით მეტი თივა, 205 ცენტნერით მეტი საკვები ჭარხალი. აღებული და დაზვინულია სიმინდის ჩალა, ძროხებისათვის შეძენილია 100 ცენტნერი ქატო და კოპტონი. წელს დამატებით ავაგეთ 30 ტონის ტევადობის სასილოსე კოშკი, შეკეთებულია პირუტყვის სადგომი ბინები. მომავალ წელს კიდევ უფრო გავაფართოებთ საკვების მოპოვების სამუშაოებს, წლევანდელთან შედარებით ორჯერ მეტ ფართობზე დავთესავთ მრავალწლიან და ერთწლიან ბალახებს.

შედგენილია მეცხოველეობის განვითარების პერსპექტიული გეგმა. ამ გეგმით გათვალისწინებულია, რომ ახალი სამეურნეო წლის დასაწყისიდანვე ბაგურ კვებაზე გადავიყვანოთ 15 ძროხა, პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების მიზნით დამატებით შევიძინოთ 20 ჯიშიანი ძროხა, ავაგოთ 200 სულის ტევადობის ახალი საუკეთესო ბინები ძროხებისა და ფურკამეჩებისათვის.

ცხადია, ყოველივე ეს პირველი ნაბიჯებია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებისათვის, საზოგადოებრივი მეცხოველეობისა და მებოსტნეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

ჯ. კერესელიძე,
გუდაუთის რაიონის ახალსოფლის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივანი.

ჩვენს საწარმოებში

ფოთი. (საკ. კორ.). ბათუმისა და ფოთის ხორცკომბინატების კოლექტივთა შორის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმატება მოიპოვეს ფოთელებმა. მათ ყველა სახის მაჩვენებლის მიხედვით წლიური გეგმა ერთი თვით ადრე და გადაჭარბებით შეასრულეს. მომავალი წლის ანგარიშში ათეულ ათასობით მანეთის ხორცპროდუქტებს იძლევიან.

თელავი. (საკ. კორ.) ადგილობრივი მრეწველობის კომბინატი 30-ზე მეტი სახის პროდუქციას ამზადებს. იგი საშენი მასალებით ამარაგებს სხვადასხვა სამშენებლო ორგანიზაციებს, კოლმეურნეობებსა და ინდივიდუალურ ბინათმშენებლებს. წლიური გეგმის გადამეტებით დამზადებულია 120 ათასამდე აგური, 136 ტონა კირი, ხე-ტყე და სხვა მასალა. გარდა ამისა, კომბინატმა მოსახლეობისათვის გამოუშვა საოჯახო ავეჯი, ფეხსაცმელი, ლითონის ნაწარმი.

გორი. საყუთე-საკასრე ქარხნის კოლექტივმა მიმდინარე წლის საწარმოო პროგრამა ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციის 36-ე წლისთავისათვის გაანაღდა, ნოემბრის გეგმა კი 139,5 პროცენტით შეასრულა.

მოწინავე სტახანოველებმა ო. კობერიძემ და ვ. ბალიაშვილმა ამ დღეებში პირადი ხუთწლედის დავალება შეასრულეს, ხოლო მკასრე მ. მღებრიშვილი, რომელიც დღეში 6-ის ნაცვლად 15 კასრს აკეთებს, 1956 წლის ანგარიშში შრომობს. (ი. თევდორაშვილი).

მახარაძე. წელს აბრეშუმის ძაფსალებ-საგრეხი ფაბრიკის ასობით მუშამ და მათი ოჯახის წევრებმა პროფკავშირული საგზურებით დაისვენეს საქართველოს კურორტებზე სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებსა და პიონერთა ბანაკებში. კურორტ წყალტუბოზე სამკურნალოდ იყო 25 კაცი, ბახმაროზე — 13 მუშა და მოსამსახურე თავიანთი ოჯახით.

ფაბრიკის კეთილმოწყობილ 12-საწოლიან დასასვენებელ სახლში, რომელიც გახსნილია ნასაკირალის მინერალურ წყაროსთან, შვებულება გაატარა ასამდე კაცმა. (ვ. ქანტურიშვილი).

★

გაგრა. თევზის სარეწებზე წარმატებით მიმდინარეობს თევზჭერის საშემოდგომო-საზამთრო სეზონი. გაგრის თევზსარეწთა კოლექტივები ყოველდღიურად აგზავნიან საბჭოთა კავშირის ყოველი კუთხისაკენ ახლად დაჭერილ თევზს, უმთავრესად შავი ზღვის ჯიშებისას — კეფალს, სტავრიდულას და ა. შ. სურათზე: გაგრის თევზქარხნის მაცივარში. წინა პლანზე — სტახანოველი თევზჩამწყობი ქ. დუროვა გაყინული თევზის ჩაწყობისას მზა პროდუქციის შესანახ საწყობში.

ფოტო ვ. ჩერკასოვისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 19 დეკემბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს გუშინდელ სხდომაზე გრძელდებოდა განხილვა სირიის საჩივრისა ისრაელის წინააღმდეგ იმასთან დაკავშირებით, რომ ისრაელი ახორციელებს დემილიტარიზებულ ზონაში არხის გაყვანის სამუშაოებს.

სხდომაზე გამოვიდნენ პაკისტანისა და ლიბანის წარმომადგენლები, რომლებმაც გააკრიტიკეს ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის დელეგაციების მიერ შეტანილი ერთობლივი პროექტი რეზოლუციისა განსახილველ საკითხზე.

პაკისტანის დელეგატმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ რეზოლუციის ეს პროექტი შეიცავს მთელ რიგ „საშიშ ორაზროვნებებს". მან თქვა, რომ პროექტი დუმილით უვლის გვერდს სირიის საჩივრის საკითხს. იმის ნაცვლად, რომ გაითვალისწინონ სირიასა და ისრაელს შორის დავის მოწესრიგების ღონისძიებანი, განაცხადა მან, ამ პროექტის ავტორები მთავარ ყურადღებას აქცევენ ეკონომიურ ღონისძიებებს, რომლებიც როდი შეუწყობენ ხელს იმ საფრთხის აღმოფხვრას, რაც ემუქრება მშვიდობას ახლო აღმოსავლეთში.

ლიბანის წარმომადგენელმა უშიშროების საბჭოს განსახილველად შეიტანა თავისი რეზოლუციის პროექტი, სადაც ნათქვამია, რომ ისრაელის ცალმხრივ მოქმედებას, რომელიც არღვევს შეთანხმებას ზავების შესახებ, შეიძლება მოჰყვეს მშვიდობის დარღვევა. პროექტი შეიცავს წინადადებას, რომ უშიშროების საბჭომ მოიწონოს გადაწყვეტილება დემილიტარიზებულ ზონაში არხის გაყვანის სამუშაოთა შეწყვეტის შესახებ და მოუწოდოს მხარეებს დაემორჩილონ ამ გადაწყვეტილებას. ამასთან პროექტი იძლევა რჩევას მიღებულ იქნას ღონისძიებანი დავაში მხარეთა შეთანხმების მისაღწევად.

ხანმოკლე დისკუსიის შემდეგ საბჭომ გადაწყვიტა რეზოლუციების პროექტების განხილვა გადაიდოს 21 დეკემბრისათვის.

საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები

პარიზი, 20 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, კონგრესის მეექვსე ტურში ჟოზეფ ლანიელმა მიიღო 397 ხმა, მარსელ-ედმონ ნეჟლენმა — 306 ხმა და ჟან მედესენმა — 171 ხმა.

ამრიგად, პრეზიდენტობის არც ერთ კანდიდატს არ მიუღია ხმების აბსოლუტური უმრავლესობა. ამიტომ მოეწყობა კონგრესის მეშვიდე ტური, რომელიც გაიმართება 20 დეკემბერს 17 საათზე მოსკოვის დროით.

პარიზი, 20 დეკემბერი. (საკდესი). საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები გრძელდება. დღეს გაიმართა კონგრესის მე-7 ტური.

დღევანდელი სხდომის დაწყებამდე სოციალისტების საპარლამენტო ჯგუფმა გამოაქვეყნა კომუნიკე, რომელშიც მოუწოდებს სხვა პარტიებს მოხსნან ყველა კანდიდატურა ვენსან ორიოლის სასარგებლოდ და განახორციელონ „რესპუბლიკის გაერთიანება".

მაგრამ უშუალოდ მეშვიდე ტურის დაწყების წინ ცნობილი გახდა, რომ მედესენის, ლანიელისა და ნეჟლენის კანდიდატურები მოხსნილი არ არის.

კონგრესის შედეგად ლანიელმა მიიღო 407 ხმა, ნეჟლენმა — 303 და მედესენმა 156 ხმა.

იმის გამო, რომ არც ერთ კანდიდატს არ მიუღია ხმების აბსოლუტური უმრავლესობა, გადაწყდა 22 საათისა და 30 წუთისათვის (მოსკოვის დროით) დაინიშნოს კონგრესის მერვე ტური.

ირანის მეჯლისის დათხოვნა

ლონდონი, 19 დეკემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს თეირანელი კორესპონდენტის ცნობიდან ჩანს, ირანის მთავრობამ დღეს გამოაცხადა, რომ შაჰის ბრძანებულების საფუძველზე მეჯლისის ორივე პალატა დათხოვნილია და მოეწყობა ახალი არჩევნები.

ინგლისის თემთა პალატაში

ლონდონი, 18 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ ინგლისის თემთა პალატაში გაიმართა ერთი დღის კამათი საგარეო პოლიტიკის საკითხებზე. კამათი გახსნა პრემიერ-მინისტრმა ჩერჩილმა.

ჩერჩილი უწინარეს ყოვლისა შეეხო სუეცის არხის ზონაში ინგლისის ჯარების ყოფნის შესახებ ინგლის-ეგვიპტის მოლაპარაკების საკითხს. ჩერჩილმა ინგლისის პოლიტიკა ეგვიპტისა და ეგვიპტეში ამერიკის „შუამავლობის" შესახებ შემდეგი სიტყვებით დაახასიათა:

„ჩვენი მოქმედება დაემყარება ამ პრობლემის არსის გულმოდგინე და ყოველმხრივ შესწავლას. გადაწყვეტილება არ იქნება ნაკარნახევი არც ჩვენი უცხოელი მტრების მძვინვარებით, არც ზოგიერთი ჩვენი საუკეთესო მეგობრის ზეგავლენით".

შეეხო რა ბერმუდის თათბირს, ჩერჩილმა თქვა: „ჩემი აზრით, უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ მე შევძელი ხანგრძლივი, გულახდილი, საიდუმლო მოლაპარაკება მქონოდა პრეზიდენტ ეიზენჰაუერთან".

შემდეგ ჩერჩილმა მოითხოვა, რომ საფრანგეთმა დაამტკიცოს ხელშეკრულება „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების" („ევროპის არმიის") შესახებ, და ამასთან განაცხადა, რომ თუ ეს რატიფიკაცია არ მოხდა, მაშინ „მეორე გამოსავალი" — ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის გაფართოება და მასში დასავლეთ გერმანიის შეყვანა დაკავშირებული იქნება „მრავალ სიძნელესთან, რომლებიც, შესაძლოა, საბედისწეროც კი აღმოჩნდეს".

მოკლედ შეეხო რა ოთხი სახელმწიფოს ბერლინის მომავალი თათბირის ამოცანებს, ჩერჩილმა კვლავ ილაპარაკა ბერმუდის კუნძულებზე გამართული თათბირის შედეგების შესახებ.

აღნიშნა რა, რომ ბერმუდის კუნძულებზე დროის მეტი ნაწილი მოხმარდა შორეული აღმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის პრობლემების განხილვას, ჩერჩილმა განაცხადა: „საიდუმლოება არ არის, რომ მსოფლიოს ამ ნაწილში ერთგვარი უთანხმოება იყო დასავლეთ სახელმწიფოთა პოლიტიკაში".

„ჩვენ განვიხილეთ, — თქვა მან, — ისეთი საკითხები, როგორიც არის ვაჭრობა ჩინეთთან, ჩინეთის კომუნისტური მთავრობის ცნობა, ჩინეთის დაშვება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, კორეის პრობლემები და ისეთ მოუქნელ პიროვნებათა საკითხიც, როგორიც ლი სინ მანი და ჩან კაი-ში არიან".

დასასრულ ჩერჩილი შეეხო ინგლის-ირანის ურთიერთობას, ტრიესტის საკითხს, აგრეთვე სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი მიუძღვნა ატომური ენერგიის პრობლემას, მოიწონა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის წინადადება „ატომის ფონდის" შექმნის შესახებ.

ლეიბორისტული ოპოზიციის ლიდერი ეტლი გამოვიდა კამათში და მხარი დაუჭირა ინგლისის მთავრობის პოლიტიკას ეგვიპტეში.

შეეხო რა საგარეო საქმეთა მინისტრების ბერლინის თათბირს, ეტლიმ თქვა: „თათბირზე ისე უნდა მივიდეთ, რომ შეძლებისდაგვარად აბსოლუტურად არ ვიყოთ შებოჭილნი მკაცრი პირობებით. ეს ამდენადვე შეეხება რუსეთის მხარესაც. ვფიქრობ, რომ ის იმედები, რომლებსაც თათბირს უკავშირებენ, მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მიდგომაზე".

ლეიბორისტული პარტიის მემარცხენე ფრთის ლიდერმა ბივენმა თქვა, რომ ინგლისის მთავრობა ერთგვარ სერიოზულ შეცდომებს უშვებს თავის პოლიტიკაში აფრიკასა და შორეულ აღმოსავლეთში.

შეეხო რა შორეულ აღმოსავლეთს, ბივენმა განაცხადა, რომ ჩინეთის სახალხო მთავრობა მტკიცედ დგას ხელისუფლების სათავეში. „მისი დაშვება უშიშროების საბჭოში გიგანტური ნაბიჯი იქნებოდა მთელი მსოფლიოს დაშოშმინების გზაზე". სერიოზულად უნდა ვეცადოთ, მივაღწიოთ რუსეთთან შეთანხმებას გერმანიის შესახებ, დასძინა ბივენმა.

მოკამათეებს უპასუხა საგარეო საქმეთა მინისტრმა იდენმა, რომელმაც განაცხადა: „პირადად მე ვფიქრობ, რომ ჩვენ მეტად სერიოზულ კრიზისულ პერიოდს განვიცდით საერთაშორისო საქმეებში. ახლა მდგომარეობა ისეთია, რომ შესაძლებელია ან შორს მიმავალი და დამაიმედებელი მოვლენები, თუ ყველანი შეეცდებიან ჯეროვანი სულისკვეთებით მიუდგნენ მათ წინაშე მდგომ ამოცანებს, ან განსაკუთრებით ძნელ და დახლართულ მდგომარეობაში აღმოვჩნდებით".

შეთანხმება საქონლის ურთიერთმიწოდების შესახებ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და დასავლეთ გერმანიას შორის

ბერლინი, 19 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ადნ-ის სააგენტო იუწყება, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო და საშინაო ვაჭრობის სამინისტრომ გამოაქვეყნა ცნობა, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და დასავლეთ გერმანიას შორის მოლაპარაკების შედეგად მიღწეულია შეთანხმება 1954 წელს საქონლის ურთიერთმიწოდების შესახებ. საქონლის მიწოდების მოცულობა შეადგენს 547,5 მილიონ საანგარიშსწორებო ერთეულს თვითეული მხარისათვის. 1953 წელთან შედარებით გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და დასავლეთ გერმანიას შორის საქონელბრუნვა 1954 წელს 34 პროცენტით გადიდდება.

სავაჭრო შეთანხმება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ნორვეგიას შორის

ბერლინი, 19 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ადნ-ის სააგენტო იუწყება, გუშინ ბერლინში ხელი მოაწერეს შეთანხმებას სავაჭრო გაცვლისა და გადასახდელთა შესახებ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ნორვეგიას შორის. საქონლის გაცვლის საერთო თანხაა 16.450 ათასი დოლარი.

ამ შეთანხმების მიხედვით ნორვეგია გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას მიაწვდის ქაშაყს, თევზის კონსერვებს, ცხიმეულს, საექსპორტო საქონელს, ქიმიურ პროდუქტებსა და სხვ.

თავის მხრივ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ნორვეგიას მიაწვდის ნახშირს, საშენ მასალებს, ტექნიკური და მანქანათმშენებელი მრეწველობის ნაკეთობას, ავტომობილებს, ზუსტი მექანიკის ნაკეთობას და ოპტიკურ ხელსაწყოებს, აგრეთვე მუსიკალურ ინსტრუმენტებს, საფეიქრო საქონელს, კერამიკულ ნაწარმს და სხვ.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მხარეთა პალატაში

ბერლინი, 19 დეკემბერი. (საკდესი). როგორც პრესა იუწყება, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მხარეთა პალატამ თავის გუშინდელ სხდომაზე მოიწონა 1954 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის კანონი, რომელიც მიიღო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატამ.

იტალიის პარლამენტში

რომი, 20 დეკემბერი. (საკდესი). დეპუტატთა პალატის გუშინდელ სხდომაზე იტალიის მთავრობამ მარცხი განიცადა ეგრეთწოდებულ „ევროპის საბჭოში", აგრეთვე „ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანებაში" წარმომადგენელთა არჩევის საკითხში.

კომუნისტმა დეპუტატმა ჯან კარლო პაიეტამ მოითხოვა არჩევნების გადადება.

ქრისტიან დემოკრატთა ოპოზიციის წინააღმდეგ დეპუტატთა პალატამ გადაწყვიტა 254 ხმით 234 ხმის წინააღმდეგ გადადოს ამ საკითხის გადაწყვეტა 12 იანვრამდე.

ანალოგიური გადაწყვეტილება მიიღო სენატმა.

გამოვიდა რა გუშინ „ევროპის ფედერალისტთა მოძრაობის" მიტინგზე, დე გასპერიმ განაცხადა, რომ კენჭისყრა დეპუტატთა პალატაში „ერთგვარ პესიმიზმს წარმოშობს ჩვენი მოძრაობის მიმართ".

პოლონეთის სეიმში

ვარშავა, 19 დეკემბერი. (საკდესი). დღეს ვარშავაში დამთავრდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის მესამე სესია. სესიის საბოლოო სხდომაზე ერთსულოვნად დაამტკიცეს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს დეკრეტები, რომლებიც მიღებულია სეიმის მეორე და მესამე სესიებს შუა. დამტკიცებულ დეკრეტთა შორის არის დეკრეტები მარცვლეულის, კარტოფილის, მეცხოველეობის პროდუქტების სავალდებულო ჩაბარების შესრულების წესის შეცვლის შესახებ და სხვ.

საბჭოთა ტანმოვარჯიშეების გამოსვლა პარიზში

პარიზი, 20 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ ზამთრის ველოდრომზე თითქმის 20 ათასი მაყურებლის თანდასწრებით დაიწყო ამხანაგური შეჯიბრება ტანვარჯიშში საბჭოთა ნაკრებ გუნდებსა და საფრანგეთის გუნდებს შორის. ვაჟები ვარჯიშობენ ძელებით, რგოლებითა და ტაიჭით; ქალები ერთმანეთს ეჯიბრებიან დაყრდნობით ხტომასა და თავისუფალ მოძრაობაში.

შეჯიბრების პირველი დღის შედეგად საბჭოთა სპორტსმენ ვაჟთა გუნდმა მოაგროვა 173,85 ბალი, საფრანგეთის ვაჟთა გუნდმა — 166,90 ბალი, საბჭოთა სპორტსმენ ქალთა გუნდმა — 115,65 ბალი და საფრანგეთის ქალთა გუნდმა — 113,45 ბალი.

საფრანგეთის აეროდრომების პერსონალის გაფიცვა

პარიზი, 20 დეკემბერი. (საკდესი). მოქმედების ერთიანობის კომიტეტის მოწოდებით, რომლის შემადგენლობაშიც შედიან შრომის საყოველთაო კონფედერაციის პროფკავშირული ორგანიზაციების, „ფორს უვრიერისა" და ავტონომიური პროფკავშირების წარმომადგენლები, გუშინ გაფიცვა დაიწყო აეროდრომების მომსახურე პერსონალმა (რადისტებმა, ტექნიკოსებმა და სხვა სპეციალისტებმა, რომლებიც უზრუნველყოფენ გაფრენის უსაფრთხოებას).

გაზეთ „ლუმანიტე-დიმანშის" ცნობით გაფიცვაში მონაწილეობს 3-4 ათასი კაცი. ისინი მოითხოვენ უახლოეს მომავალში აუნაზღაურონ ნამსახურობის დახმარება და აღადგინონ სამუშაოზე ყველა ისინი, ვინც დათხოვნილი იყო არა პროფესიული მოსაზრებით (ე. ი. პოლიტიკური მიზეზებით).

ცნობაში, რომელიც მოქმედების ერთიანობის კომიტეტმა გამოაქვეყნა, ნათქვამია, რომ გაფიცვის შედეგად საფრანგეთის ყველა აეროდრომზე შეწყვეტილია თვითმფრინავთა გაფრენა.

ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, რომ ხელისუფლებმა გაუგზავნეს პირად შემადგენლობას, რომელიც უზრუნველყოფს საჰაერო მიმოსვლის უსაფრთხოებას, ბრძანება სამსახურში იძულებითი გამოცხადების შესახებ.

ბაკურიანი. სურათებზე: 1. მოთხილამურე მ. მიქაბერიძე (ბაკურიანის სასპორტო სკოლა) ეშვება მთის ფერდობზე. 2. მოთხილამურეები მ. ხვიშჩევსკაია და ლ. სმოლინოვა (მოსკოვი) საჰაერო-საბაგირო გზით ადიან კოხტა გორაზე.

ბაკურიანში

ბორჯომის ხეობის ერთ-ერთ მშვენებას ბაკურიანი წარმოადგენს. საამო ზამთარი იცის აქ. შესანიშნავმა ჰავამ, რელიეფმა, მცხუნვარე მზემ, ქათქათა თოვლით დაფარულმა ველებმა და მთის ფერდობებმა ბაკურიანი არა მარტო შესანიშნავ კურორტად, არამედ სამთო-სათხილამურო სპორტის ერთ-ერთ მთავარ კერად გადააქცია.

წელს ბაკურიანს ზამთარი ადრე ეწვია, ბევრგან თოვლის სიღრმე 70 სანტიმეტრს აღწევს. ყოველდღიურად აქ მრავალი სპორტსმენი, ექსკურსანტი და დამსვენებელი მოდის. მიმდინარეობს წვრთნა, ეწყობა შეჯიბრება სათხილამურო სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

ამჟამად ბაკურიანში იმყოფებიან ჩვენი ქვეყნის უძლიერეს მოთხილამურეთა კოლექტივები, რომელთა რიგებში არიან საბჭოთა კავშირის ჩემპიონები, მრავალ ასპარეზობაში გამოწრთობილი სპორტის ოსტატები.

ბაკურიანში იმყოფება აგრეთვე საბჭოთა კავშირის მოთხილამურე ქალთა (მორბენლები) ნაკრები გუნდი მწვრთნელების ა. ბაჟენოვის და ზ. ბოლოტოვას ხელმძღვანელობით.

* * *

პირველი სასპორტო საჰაერო-საბაგირო გზა. ასე უწოდებდნენ ბაკურიანის ახალ მშვენებას, რომელიც კოხტა გორის ფერდობზეა გამართული. საჰაერო-საბაგირო გზის მშენებლობა მეორე წელია მიმდინარეობს. მის გახსნას მოუთმენლად მოელოდნენ ბაკურიანელები, მოთხილამურეები, ჩვენი ქვეყნის სპორტსმენები.

ღამით დაწყებული თოვა 20 დეკემბერს მთელ დღეს გრძელდებოდა. ბაკურიანს დილიდანვე უჩვეულო გამოცოცხლება დაეტყო. სპორტსმენები ემზადებოდნენ კოხტა გორაზე ასასვლელად, საჰაერო-საბაგირო გზის გახსნისათვის.

სასპორტო ფორმაში გამოწყობილი მოთხილამურეები ჯგუფ-ჯგუფად გაემართნენ კოხტა გორის ფერდობისაკენ, „ხის წაღებით" სერავდნენ ახალი თოვლით დაფარულ მიდამოებს. წარმტაც სანახაობას წარმოადგენს საბაგირო გზა, რომელსაც მოთხილამურეები კოხტა გორის წვერზე აჰყავს. იქიდან სპორტსმენები თავბრუდამხვევი სისწრაფით ეშვებიან მთის ფერდობზე.

საჰაერო-საბაგირო გზის სიგრძე 1.253 მეტრს შეადგენს. წრიულ ბაგირზე ბიუგელების საშუალებით მოთხილამურეები მთაზე ადიან. თვითეულ ბიუგელზე 2 სპორტსმენია. მთლიანი დატვირთვისას ამ გზით ადის 46 კაცი. მოძრაობის სისწრაფე წამში 1,9 მეტრს შეადგენს. მანძილი მოთხილამურეთა წყვილებს შორის 57 მეტრს უდრის. მთის წვერზე ასვლისათვის საჭიროა თერთმეტი წუთი.

გაისმის ხმა — „მოემზადეთ!". სპორტსმენები წყვილ-წყვილად დაეწყვნენ. ამოძრავდა ბაგირი, მთის წვერისაკენ მისრიალებს პირველი წყვილი. მას მიჰყვა მეორე, მესამე. შორს წერტილებივით მოჩანან მოთხილამურეები.

სპორტსმენთა სიხარული უსაზღვროა. დამსწრენი ერთმანეთს ულოცავენ საბჭოთა კავშირში პირველ სასპორტო საჰაერო-საბაგირო გზის ამუშავებას.

სამონტაჟო სამუშაო კარგად შეასრულა „სოიუზპრომმექანიზაციის" ამიერკავკასიის ტრესტმა, ხოლო ელექტროგაყვანილობა — „სოფლელექტროს" თბილისის კანტორამ. სამშენებლო სამუშაოები თბილისმშენის მიერ ჯერ კიდევ არ არის მთლიანად დამთავრებული.

საბაგირო გზის გახსნას მიეძღვნა უძლიერესთა საჩვენებელი გამოსვლები, ამხანაგური შეხვედრები სლალომში, სწრაფ დაშვებაში. მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის ცნობილი მოთხილამურეები ა. ფილატოვი, დ. როსტოვცევი, ე. სიდოროვა, ნ. მაკაროვა, მ. გავა და სხვ.

* * *

ღამდება. კვლავ თოვს. ვარჯიშით ლოყებდაწითლებული ახალგაზრდები კმაყოფილი ბრუნდებიან სასპორტო ბაზებში, ადგენენ წვრთნისა და კულტურული დასვენების ხვალინდელ გეგმას, ემზადებიან მომავალი პასუხსაგები შეხვედრებისათვის.

მალე კოხტა გორის ფერდობზე დაიწყება საბჭოთა კავშირის უძლიერეს სლალომისტთა ასპარეზობა.

ვ. გაგელია,

„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტი.

ბაკურიანი.

ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დანიშნა:

ამხ. ლ. ა. რუხაძე საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის მოადგილედ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ გაათავისუფლა:

ამხ. გ. ნ. ზამბახიძე საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობისა და საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის მინისტრის პირველი მოადგილის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

ამხ. გ. დ. ჟორჟიკაშვილი საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის მოადგილის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

ამხ. მ. გ. ნარსია საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის მოადგილის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.

გრძელდება ხელმოწერა
1954 წლისათვის სასოფლო-სამეურნეო ჟურნალებზე:

„КОЛХОЗНОЕ ПРОИЗВОДСТВО"

ყოველთვიური სამეცნიერო-საწარმოო ჟურნალი კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებისა და საკოლმეურნეო აქტივისათვის. ხელმოწერის ფასი: ერთი წლით—24 მან., 6 თვით—12 მან., 3 თვით—6 მან.

„СОЦИАЛИСТИЧЕСКОЕ СЕЛЬСКОЕ ХОЗЯЙСТВО"

ყოველთვიური სამეცნიერო-საწარმოო ეკონომიური ჟურნალი. ხელმოწერის ფასი: ერთი წლით—48 მან. 6 თვით—24 მან., 3 თვით—12 მან.

„ДОСТИЖЕНИЯ НАУКИ И ПЕРЕДОВОГО ОПЫТА В СЕЛЬСКОМ ХОЗЯЙСТВЕ"

ყოველთვიური სამეცნიერო-საწარმოო ბიულეტენი. ხელმოწერის ფასი: 1 წლით—24 მან., 6 თვით—12 მან., 3 თვით—6 მან.

„МАШИННО-ТРАКТОРНАЯ СТАНЦИЯ"

ყოველთვიური საწარმოო-ტექნიკური ჟურნალი. ხელმოწერის ფასი: ერთი წლით—12 მან., 6 თვით—6 მან., 3 თვით—3 მან.

„ДОКЛАДЫ ВСЕСОЮЗНОЙ ОРДЕНА ЛЕНИНА АКАДЕМИИ СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННЫХ НАУК ИМ. В. И. ЛЕНИНА"

ორთვიური სამეცნიერო-საწარმოო ჟურნალი. ხელმოწერის ფასი: ერთი წლით—24 მან., 6 თვით—12 მან.

„БЮЛЛЕТЕНЬ ГЛАВНОГО КОМИТЕТА ВСЕСОЮЗНОЙ СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОЙ ВЫСТАВКИ"

ხელმოწერის ფასი: ერთი წლით—72 მან., 6 თვით—36 მან., 3 თვით—18 მან.

ხელმოწერას იღებენ „სოიუზპეჩატის" საქალაქო და რაიონული განყოფილებები, კავშირგაბმულობის კანტორები, განყოფილებები და სააგენტოები, აგრეთვე ფოსტალიონები.

თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების დირექცია სტუდენტთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ 1954 წლის 1 იანვრიდან 10 იანვრამდე ქ. თბილისში (უნივერსიტეტის ქ. № 32) ჩატარდება სასწავლო საგამოცდო სესია.

სტუდენტთა გამოცხადება სავალდებულოა.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის და გზატკეცილების სამინისტრომ მიუთითა თავის ყველა ავტოსატრანსპორტო კანტორას შეუფერხებლად მისცენ სატვირთო ავტომანქანები კოლმეურნეობებს და კოლმეურნეებს ტვირთების გადასაზიდავად საკოლმეურნეო ბაზრებამდე და რკინიგზის სადგურებამდე.

ამ საკითხით დაინტერესებულმა ყველა კოლმეურნეობამ და კოლმეურნემ უშუალოდ უნდა მიმართოს სამინისტროს ავტოსატრანსპორტო კანტორებს ადგილობრივ.

სახელმწიფო 3%-იანი შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციებით შეიძლება 400-დან 100.000 მანეთამდე მოგების მიღება

ყოველწლიურად იმართება ამ სესხის მოგებათა ექვსი ძირითადი და ერთი დამატებითი ტირაჟი.

ძირითადი ტირაჟები ეწყობა ყოველი წლის 30 იანვარს, 30 მარტს, 30 მაისს, 30 ივლისს, 30 სექტემბერს, 30 ნოემბერს და დამატებითი ტირაჟი — 30 სექტემბერს.

მოგება, რომელიც ობლიგაციას ძირითად ტირაჟში ხვდა, გაიცემა ობლიგაციის შეძენის ვადის მიუხედავად. მოგება, რომელიც ობლიგაციას დამატებითს ტირაჟში ხვდა, გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ ობლიგაცია შეძენილია დამატებითი ტირაჟის ვადამდე სულ მცირე ცხრა თვით ადრე.

ძირითად ტირაჟში სესხის თვითეულ თანრიგზე გათამაშდება 4.650.200 მანეთის 8.500 მოგება, ხოლო დამატებით ტირაჟში — 11.390.600 მანეთის 11.500 მოგება.

დამატებითს ტირაჟში, გარდა 50.000, 25.000, 10.000, 5.000, 1.000 და 400-მანეთიანი მოგებებისა, გათამაშდება აგრეთვე 100.000-მანეთიანი მოგება.

მოგებათა მორიგი მეშვიდე დამატებითი ტირაჟი შედგება 1954 წლის 30 სექტემბერს.

ობლიგაციებს № 7 ტალონითა და ყველა მომდევნო ტალონებით შემნახველი სალაროები ყიდიან 1954 წლის 1 იანვრამდე. 1954 წლის 1 იანვრის შემდეგ გაყიდულ ობლიგაციებს № 7 ტალონი არ ექნება.

სესხის ობლიგაციებს ყიდიან და თავისუფლად ყიდულობენ შემნახველი სალაროები.

შეიძინეთ სახელმწიფო 3-%-იანი შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციები!

საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველო.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

22 დეკემბერს	პ. ჩაიკოვსკი — პიკის ქალი (დ. დონატოვის მონაწილეობით).
23 დეკემბერს	ლ. დელიბი — ლაკმე

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

დები მარიამ, ნადია, ძმები ალექსანდრე, სევერიანე, რძლები ქენია, ლილი, სიძე ს. თალაკვაძე, დისწულები ციალა, ნოდარ, ლამარა, ეთერ, ძმისწულები ნატრული, ნაზი, ეთერ, ლევან იუწყებიან თამარ ლევანის ასულ თოთიბაძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 24-XII მახარაძეში. გამოსვენება ბინიდან, დიმიტროვის ქ. № 13.

თბილისის მე-14 აფთიაქის თანამშრომლები იუწყებიან პროვიზორ გრიგოლ მიხეილის-ძე მგალობლიშვილის გარდაცვალებას.

დმანისის მტს-ის მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან დარისპან იაგორის-ძე მიროტაძის გარდაცვალებას.

დღეს თბილისის თეატრებსა და კინოებში

(სპექტაკლების დასაწყისი 8 საათზე)

რუსთაველის სახელობის — დღესასწაული საკრეულაში, მარჯანიშვილის სახელობის — გიორგი სააკაძე (რკინიგზელის სახლში), გრიბოედოვის სახელობის — გვარს ნუ დავასახელებთ (ოფიცერთა სახლში), მოზარდ მაყურებელთა ქართული — ასე იწყება ცხოვრება (აბონემენტი № 47, 4 ს.), მოზარდ მაყურებელთა რუსული — ალიონუშკა (10 ს.), სანიტარული კულტურის — საგზურები.

• • •

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, კოლხიდა, 26 კომისრის, ოფიცერთა სახლი — მზითვიანი ქორწილი, თბილისი — ფოლადის ჯარისკაცი, ისანი — მაღალი ჯილდო, კოლმეურნე — გიორგი სააკაძე.

მეუღლე ნინო, შვილები დავით, შალვა, ტარიელ, რძლები ხათუნი, მარო, შვილიშვილები მარინე, იოსებ, თამარ, ეთერ იუწყებიან იოსებ დავითის-ძე თუშიშვილის გარდაცვალებას. პანაშვიდი 22, 23-XII, 8 ს. გამოსვენება 24-XII, $3^1/_2$ ს. კალინინის ქ. № 76.

მეუღლე ვალერიან, შვილი თეიმურაზ, რძალი ლილი ოდილავაძეები, დები აგრაფინა, ნინო ბალავაძეები, რძლები მარიამ, ნადია ოჯახებით იუწყებიან მარიამ პავლეს ასულ ოდილავაძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 22, 23-XII, 8 ს. გამოსვენება 24-XII, 3 ს. საჯაიას ქ. № 25.

კიროვის სახელობის ქარხნის დირექცია, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები იუწყებიან ხარიტონ ხუნდაძის გარდაცვალებას.

მე-13 პოლიკლინიკის თანამშრომლები იუწყებიან ალექსანდრე ოქროპირის-ძე ტორონჯაძის გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. სამტრედიაში.

მეუღლე სტეფანე, შვილები როზა, ვალერიან, რძალი მერი ბერძენიშვილები, სიძე შალვა ჩაჩანიძე იუწყებიან ნინო ლევანის ასულ ჯაბადარი-ბერძენიშვილის გარდაცვალებას. პანაშვიდი 22, 23-XII, 7 ს. გამოსვენება 24-XII, 4 ს. გორკის შესახვევი № 6.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან ლისა მაქსიმეს ასულ კეკელიძე-რამიშვილის გარდაცვალებას.

აკად. ალადაშვილის სახელობის საავადმყოფოს I ქირურგიული განყოფილების ექიმები და მედინსტიტუტის პროპედევტიკული ქირურგიული კლინიკის თანამშრომლები იუწყებიან გრიგოლ მიხეილის-ძე მგალობლიშვილის გარდაცვალებას.

მშობლები ლენა, ტარიელ კვანჭილაშვილები, ძმა მალხაზ, ბებია მარიამ, ნინო იუწყებიან სოლომონ ტარიელის-ძე კვანჭილაშვილის გარდაცვალებას. გამოსვენება 22-XII, 3 ს. უნივერსიტეტის ქ. № 24.

და ფატი, დისწულები შიო, რუსუდან, პავლე ნაფეტვარიძეები, რძლები კლავდია ნუცუბიძე, დოდო ჩხეტია, სიძე შალვა ვარაზანაშვილი იუწყებიან გრიგოლ მიხეილის-ძე მგალობლიშვილის გარდაცვალებას.

ქალაქის მე-2 კლინიკური საავადმყოფოს თანამშრომლები იუწყებიან გრიგოლ მიხეილის-ძე მგალობლიშვილის გარდაცვალებას.

ქალთა მე-7 საშუალო სკოლის ადმინისტრაცია, პედკოლექტივი და ტექპერსონალი იუწყებიან ელენე დავითის ასულ ვახვახიშვილის გარდაცვალებას.

შვილი რაჟდენ, რძალი მარიამ, შვილიშვილები ჯულიეტა, რომეო, და მარო, ძმა ვარლამ შვილებით იუწყებიან დარისპან იაგორის-ძე მიროტაძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 22-XII, სოფ. წირქვალში (ჭიათურის რაიონი).

მეუღლე გერასიმე, შვილები ათანასე, ელია, იოსებ, გაფო, რძლები ლენა, თამარ, ლეილა, სიძე გრიგოლ ასათიანი და შვილიშვილები იუწყებიან დარიკო გიორგის ასულ ბახტაძე-გორდულაძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 24-XII ქ. წულუკიძეში. გამოსვენება ბინიდან, სტურუას ქ. I შესახ. № 6.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეებისა — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვისა და სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურის და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, უცხოეთის ინფორმაციისა და კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-51-81, გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

უე 13230

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი"